# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი — ხუთშაბათი, 16 ღვინობისთვე 1919 წ. № 223 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.



გულ-დამწვარნი დედ-მამა. ძმები გიგო, ვასო და გიორგი: ბიძაშვილები ვასილი ვანო და შალვა ზედგინიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, ხუთშაბათს, 16 ღვინობისთვეს მოხდება გადატანა ცხედრისა

**ირაკლი დიმიტრის ძის ზედგინიძისა**

წმ. ნინოს სასაფლაოდან სოფ. ძევრაში დილის 8 საათზედ. დაკრძალვა 18 ღვინობისთვეს. 2614 1—1

## სახელმწიფო თეატრი

დღეს, 16 ღვინობისთვეს წარმოდგენილი იქნება

## კ ა რ მ ე ნ ი

## ქართული ლატარია.

სულ მცირე ხანი ლა დარჩა ლატარიის გათამაშებამდე.

ყველას მოქალაქეობრივ ვალდებულობად უნდა მიაჩნდეს შეძენა ლატარიის ბილეთებისა ამით, ხელს შეუწყობს ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის საძირკვლის ჩაყრას.

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები. 203 1—1

ხუთშაბათს, 16 ღვინობისთვეს, საღამოს 6 საათზე სამეურნეო ურთიერთობის საზოგადოების შენობაში („ქართულ კლუბის“ პირდაპირ) მოხდება ქ. თბილისის მე 2, 3 და მე 4 სამილიციო უბნებში მცხოვრებ

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა საზოგადო კრება

დღიური წესრიგია:

1) სპ. კედიას მოხსენება: „საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა“.
2) ალ. ასათიანის მოხსენება: „საქართველოს მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა“.

1 ხარისხ. **კაფე-პარიზი** 1 ხარისხ.

დამფუძნ. კრების ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) ქართულ კლუბის ქვეშ.

ყოველ დღე: **საუზმე, სადილები, ვახშმები.**

სურსათი უაღრეს ღირსებისაა. კეთება მხოლოდ კარაქზე.

**სადილები** პურით 2 თავი 15 მან.
" " 3 " 20 "

ყოველ დღე მზადდება აზიზი საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის

**პროცენტები მსახურთა სასარგებლოდ არა ხდება სტუმრებს.**

რესტორანი ღამის 2 საათამდეა ღია.

პატივისცემით **ვარ. გვათუა.**

## ტექნო-ქიმიური ლაბორატორია „ა ლ ფ ა“

ამით აუწყებს თავის კლიენტებს, რომ ფეხსაცმელების „მაზის“ წარმოების უფლებები გადაეცა კოოპერატივ „დახმარებას“ სთხოვს მაზის მსურველთ მაზის შესაძენად ამიერიდან მიმართონ კოოპერატივ „დახმარებას“ თავისუფლების მოედანზე თამამშევის სახლში.

**გამგეობა „ალფა“.** 207 10—3

## ნებართვანი საზღვარ-გარედ

იმ პირთ რომელთაც სურთ საზღვარ გარეთ გასვლის ნებართვა აღონ ბათომის მიმართულებით უნდა **წერილობით** მიმართონ ბრიტანეთის შტაბს ბათომში.

Intelligence offcer B. H. Q. Batum.

საჭიროა წარდგენა შემდეგი ცნობებისა: სახელის გვარის, ეროვნების და აღნიშვნა სად მიემგზავრება, დარჩება საზღვარ-გარეთ თუ ისევ დაბრუნდება უკან.

უნდა წარდგენილ იქმნეს 3 ფოტოგრაფიული სურათი.

პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა და მის მიღების შემდეგ ნებართვის მიღება შეიძლება ბათომში.

საჭირო არაა პირადათ მიმართვა ბათომში ან კიდევ მიმართვა რომელიმე ბრიტანიის დაწესებულებას თბილისში. 204 4—3

## მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **საგანგებოდ დამზადებული** ნახშირი და **დიდ-ძალი კირი, საუკეთესო** ხარისხის და ხელ მისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ-წვრილად. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თბილისში, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ. № 11—45.

1 002 15—15 **ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი საგენტო.**

## კინემო მინიონი

16, 17, 18

15 ღვინობისთვეს, ჩვენს ეკრანზე—მხოლოდ სამი დღით იქნება ნაჩვენები

1) გ. გე „ტრილბის“ რომანის მიხედვით

**გიპნოზის ქვეშ**

4 მოქმ. დრამა. მთავარ როლს ასრულებს **ფერდინანდ ბონი**

2) **გამოსაცდელი ქორწინება**

ორიგინალური კომედია ორ მოქმ. მიუნისის მონაწილეობით.

სეანსების დასაწყისი I 6 საათზე II 7 ნახ. ს. III 9 საათ. IV 10 1/4

1—1

ექიმ ს. ჩიჯავაძის

ბაქტერიოლოგიური, სერო-დიაგნოსტიური და ქიმიურ - მიკროსკოპიული

**ლაბორატორია**

იღებს გამოსაკვლევად: **სისხლს (Wassermann**-ის, Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Obermeyr-ის სპიროხეტები და სხვა). **შარდს, განავალს, ნახველს რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს კუჭის სითხეს და სხვას** ... 26 მაისის (ლოლას) ქუჩა, გაზაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე) და საღამოს 5 - 7 საათ.

15—26988—8


## გენ. კორის განცხადება

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება გ. ზ. „ტიფ. გაზ.“ში მოთავსებული საუბარი ამიერ-კავკასიაში მყოფ ინგლისის ჯარების მთავარსარდალ გენ. კორისთან, რომელსაც შემდეგი უთქვამს:

„რუსებს ყველაზე უფრო აღელვებს ჩვენი პოლიტიკა საქართველოში და აზერბაიჯანში და ჩვენ გვაბრალებს დამოუკიდებლობის ცეცხლის გაღვივებასა, განა უნდა თქმა იმას, რომ ეს მართალი არ არის? ჩვენ კრიტიკოსებს ნუ დაავიწყდებათ, რომ რუსეთის კითხვაში ჩვენ ხელ-ფეხ შებორკილი ვართ“.

შემდეგ გენერალი პირდაპირ აცხადებს: „ინგლისის საზოგადოება ინტერვენციის წინააღმდეგია; ჩვენ რომ იარაღით და ჯარით დაგეხმაროთ, ინგლისში კრიზისი დადგება;—ჩვენ უფრო სხვა პოლიტიკას ვადგივართ.

„**ჩვენ ვეფარებით თვითგამორკვევის პრინციპს და შეგვყავს ჯარი იმ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთს ჩამოშორდა, ჩვენ ვიცავთ ამ ქვეყნებს მანამდის, სანამ გამრთელებული რუსეთი თვითონ არ ადგება ფეხზე და იოლათ არ შეკრებს იმას, რაც რუსეთისგან წავიდა**“.

გენ. აღნიშნავს აგრეთვე რომ მან, აიძულა საქართველო და აზერბაიჯანი, რათა ნავთი და სხვა სურსათი მიეცათ მოხალისეთათვის და „ძლიერი ხელით“ მოსპეს ამავე საგნების „სოვდეპიაში“ გაყიდვა.

რას ნიშნავს ეს?

მართალია, ის წყარო, საიდანაც ეს ინფორმაცია მოდის, სავსებით დამაჯერებელი არ არის, მაგრამ ამ ცნობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი საზოგადოების სულიერ განწყობილებისათვის.

დღეს, როდესაც ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას მივიღოთ გარკვეული და პირდაპირი აზრი ანტანტის პასუხის მგებელ წარმომადგენელთაგან მათი მიზნების შესახებ ამიერ-კავკასიაში და ევროპის წარმომადგენლების სტუმრობა ჩვენში, მხოლოდ საინფორმაციო დავალებებით იხსნება, ასეთი ცნობების გამოქვეყნებას, ფრიად არა სასიამოვნო შედეგები შეუძლიათ გამოიწვიონ.

ქართველი ერი, სავსებით დარწმუნებულია დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის კეთილ-სინდისიერებაში და ღრმად სწამს, რომ ინგლისი საუკეთესო დამცველი უნდა იყოს პატარა ერთა თავისუფლებისა.

და ეს ჩვენი ნდობა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ითხოვდეს, რომ ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებებით არ შეილახოს ერის საუკეთესო გრძნობანი და ის მეგობრული განწყობილება, რომელიც საქართველოსა და ინგლისის წარმომადგენლებს შორის დამყარდა.

და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბრიტანეთის პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიაში, უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ განცხადებას, რომელსაც რუსული გაზეთები აწერენ ისეთს პიროვნებას, როგორიც გენ. კორია და დამამშვიდებელ განმარტებას მისცემს ქართველ საზოგადოებას.

ჩვენ ველით ამ განმარტებას!

## ხონის ამბები

მრავალჯერ გადადების შემდეგომ, როგორც იყო სოციალ დემოკრატიული ფრაქცია დასთანხმდა ხონის შესახებ შეკითხვის დღის წესრიგში მოთავსებას.

შეკითხვამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია დამფუძნებელს კრებაში. კამათი არ დასრულებულა და გადაიდო, ხოლო დღეს არ შეგვიძლიან მოკლედ არ აღვნიშნოთ შეკითხვით გამოწვეული კამათის ხასიათი.

შეკითხვის ავტორის ბ-ნ ასათიანის სიტყვაში მოკლედ დახასიათებული იყო ახალი ქალაქების წარმოშობის ისტორია. მთელს თავის გძელს ისტორიაში საქართველომ 13 ქალაქი წარმოშვა, რევოლიუციის პირველ თვეებში კი, განსაკუთრებულმა ამიერ-კავკასიის კომიტეტმა ერთს თავის სხდომაზე დაარსა 15 ახალი ქალაქი.

ძველი წყობილების დროს სოფლის გაქალაქება დიდი პროგრესიული საქმე იყო. მცხოვრებნი ხდებოდნენ „მოქალაქედ“ და თავს აღწევდნენ გლეხის უუფლებო მდგომარეობას. ამასთანავე საქალაქო თვითმართველობა ცუდი თვითმართველობა იყო, მაგრამ მაინც ერთგვარი საზოგადოებრივი თვითმართველობა მაინც იყო.

დემოკრატიული მმართველობისა და საერობო თვითმმართველობის შემოღების შემდგომ ამ პატარა დაბებისათვის გაქალაქება აღარ არის ისე მიმზიდველი, როგორც წინეთ; მაგრამ ისინი მაინც გააქალაქეს. არსებითად ჩვენ არ შევეხებით ეს მათთვის საზიანო იყო თუ სასარგებლო. ხოლო აღვნიშნავთ, რომ მათი ეხლანდელი ცდა, რომ საქალაქო მმართველობა გაუქმდეს და ერობა იქნეს შემოღებული, ხოლო იმ ნაწილებში სადაც სავაჭროები განსაკუთრებული დეპუტატები იყვნენ ამორჩეული, არ შეიძლება ჩაითვალოს არა-დემოკრატიულ, კონტრ-რევოლიუციონურ და სხ. ასეთ მოვლენად.

ამ ახალს ქალაქებში სრულიად მშვიდობიანი გზით დაიწყო თავისი ქალაქური მდგომარეობის აწონ დაწონვა და გადაფასება.

სამტრედიამ შეიმუშავა დიდი მოხსენება ამის შესახებ, დაბეჭდა და გამოუგზავნა დამფუძნებელი კრების ყველა წევრებს—ზესტაფონშიც ასევე შემუშავდა შუამდგომლობა, ასევე იყო ხონში და ასეთივე სულისკვეთება არის სხვა პატარა ქალაქებში.

ხონის მოღვაწეებმა ეს სრულიად მშვიდობიანი მოძრაობა მთავრობას ისე დაუსურათეს, თითქოს ხონში ამბოხება დაწყებულიყოს და ქალაქს რაღაც საშინელი ამბები განეზრახოს რესპუბლიკისა და მთავრობის წინააღმდეგ.

დამფუძნებელ კრებაში ჩვენი ფრაქციის მიერ წარდგენილი საბუთებიდან აშკარად სჩანს, რომ ხონის მოღვაწეებმა შემცდარი ცნობა მიაწოდეს მთავრობას, რომ 24 აგვისტოს პოგრომი მზადდება, ქალაქის მმართველობას დაქცევას უპირებენ და მოსამსახურეთ ამოხოცვასო; მათ მოითხოვეს ქუთაისიდან ჯარები და ხონის მახლობელ სოფლებში მოახდინეს გვარდიის მობილიზაცია. მაგრამ ასეთმა პროვოკაციამ მიზანს ვერ მიაღწია. ხონის საზოგადოება არ გაება მისი მეთაურებისაგან დაგებულს მახეში და რაიმე არეულობა და ექცესები არ მოუხდენიათ.

ამის შემდგომ კიდევ ადგილი უნდა ჰქონოდა რაიმე რეპრესიებს ხონის მოქალაქეთა და მის წარმომადგენელთა მიმართ?

კრებები, სადაც ხალხი ხელს აწერდა თხოვნას მთავრობის სახელზე ქალაქი არ გვინდაო, დამთავრდა. ყოველივე თავის კალაპოტში ჩადგა მაგრამ ორი კვირის შემდეგ 6 სექტემბერს ღამით იჭერენ ხონის ზოგიერთ წარმომადგენელს და ქუთაისში გზავნიან. იქ მათ აკავებენ. შემდგომ გზავნიან ხონში ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს მამფორიას და დამფ. კრ. წევრს გიორგი ფაღავას ამ საქმის გამო „კვლევა-ძიების“ მოსახდენად. ჯერ რეპრესიები შემდგომ გამოძიება!

როგორი იყო ეს გამოძიება, დამფუძნებელ კრებას მოხსენდა. დაკითხეს დაინტერესებულ მხარეებს—ვინც იყო ავტორი იმ ცნობის, რომელიც ქალაქის თავმა, მისმა ამხანაგმა ბ. რუხაძემ და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ, რასაკვირველია აჩვენეს, რომ ხონში ფეხს იდგამდა კონტრ-რევოლუციონური მოძრაობა, მზადდებოდა პოგრომი და სხ. დაჰკითხეს რამოდენიმე უბრალო მოქალაქეთ და მილიციის უფროსსაც. ამათს ჩვენებაში ხსენებაც არ არის რაიმე ბრალდებისა დაკავებულ პირთა შესახებ. ბ. მამფორია დაკითხვას სპობს და ხალხს ეუბნება—მეტი ჩვენება აღარ არის საჭირო ჩვენ გავიგეთ საქმე რაში იყო და იმ პირებს როგორც ჩავალთ გამოუშვებთო მართლაც დაკავებული პირები ხონში ბრუნდებიან. გადის რამოდენიმე დღე და მათ ისევ იბარებენ ქუთაისში და საპყრობილეში ამწყვდევენ. იმათგან ერთს ნაფიც ვექილ ლუკა ბახტაძეს ანთავისუფლებენ ამ ერთი კვირის წინათ, სხვები კიდევ დაპატიმრებული არიან.

შეკითხვაზე საპასუხოდ გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ. ჰეჰინაძე. მას არავითარი საბუთი არ მოუყვანია გარდა საერთო ფრაზებისა, რომ საჭიროა კონტრ-რევოლიუციის ჩაქრობა, როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნითო. მას მიეშველა ყოფილი ხონის ქალაქის თავი ბ ნი ჰავჰანიძე. მან მთელი თავისი სიტყვა მოანდომა იმის მტკიცებას, რომ გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებული მარტვილელის წერილი სიმართლეს არ შეეფერებაო; კარგი, მაგრამ, რა შუაშია დაჭერილი მოქალაქენი?

მათ წინააღმდეგ მან წამოაყენა ერთად-ერთი ბრალდება—ერთი მათგანი ნამამასახლისარია, მეორე მამასახლისის თანაშემწედ იყო, მესამე მდიდარი კაცი იყო, ხოლო თავისი ქონება გაფლანგაო.

ერთს თურმე კიდევ ბ-ნ ჰავჰანიძის წინააღმდეგ საჩივარი აღუძრავს ცილის წამებისთვის და სასამართლოს განაჩენით 3 თვის ციხე მიუსჯიაო.

ასეთი საბუთები მოიყვანა ბ-ნმა ჰავჰანიძემ იმ პირების წინააღმდეგ,—რომელნიც დაიჭირეს და ციხეში ჩაამწყვდიეს

გასაგები იყო, რომ ასეთმა დასაბუთებამ მთავრობის მოქმედებისა, ყველა ფრაქციების ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია.

ჭორებით და ინსინუაციებით არ შეიძლებოდა იმ საბუთების გაბათილება რომელიც შემკითხველმა წარუდგინა დამფუძნებელს კრებას. მთავრობის განკარგულება ემყარება ისეთს „კვლევა-ძიებას“, რომელიც იყო ცალმხრივად მოწყობილი სპეციალური მიზნით. მაგრამ ეს „კვლევა-ძიების“ საბუთები სრულებით არ იძლევა ისეთს დასკვნებს, რომელიც ადმინისტრაციას გამოუტანია.

საბუთიანი იყო შემკითხველის გაკვირვება: კონტრ-რევოლიუციონერებისა და მეამბოხეების ბუდეს ეძებენ, „კვლევა-ძიებას“ შემდეგ ახდენენ ამის და გამვლელ-გამომვლელს ეკითხებიან ქუჩებში, ჭორებს კრებენ, ხოლო თავის ხელქვეითებს, თვით ადმინისტრაციის მსახურებს არ ეკითხებიანო.

შემკითხველი აქვეყნებს ამ ჩვენებებს, რომელიც მიუღია მას ხონის კომისრებისა და მილიციის უფროსისაგან, ამ ცნობებს ის აქვეყნებს მას შემდეგ, რაც იღებს დაპირებას, რომ ამ პირებს ამისთვის რაიმე რისხვა არ დაატყდებათ.

ხონის ადმინისტრაციის მეთაურთა ჩვენება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ქალაქის თავისა და მისი ამხანაგის ჩვენებას. ხოლო ეს ჩვენება სავსებით ეთანხმება იმ ჩვენებას, რომელსაც იძლევა მთელი ხონის საზოგადოება, და ყველა ნეიტრალური პიროვნება, განურჩევლად პარტიული მიმართულებისა.

ვინც დაჭერილია, საპატიო პირებად ითვლებიან, არაფერს ცუდში ისინი არ ყოფილან შემჩნეული, რაიმე აგიტაციაში ადმინისტრაციის სეთაური და მთელი ხალხი.

ამ საბუთების გამოქვეყნება მეტად მოულოდნელი იყო მმართველი პარტიისათვის. შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ ამ საკითხზე კამათი შეწყდა მათი ლიდერის მოთხოვნილებით.

ხონის ამბები ერთ თვეზე მეტია მოელის დამფუძნებელი კრების მსჯავრს და ის მოვალეა გამოიკვლიოს და გამოიძიოს, თუ ვინ გააბა ხონში პროვოკაციის ქსელი. დამფუძნებელი კრება ვალდებულია მიიღოს ზომები ასეთი პროვოკაციის აღმოსაჩენად და უდანაშაულო ხალხს კი თავისუფლება დაუბრუნოს.

## ფონ-დერ ჰოლცი.

რადიოთი მოსული ცნობებით გერმანელი გენერალი ფონ დერ ჰოლცი გადაუდგა თავის მთავრობას და თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა.

სანამ ფონ-დერ ჰოლცი გერმანიის მთავრობას გადაუდგებოდა იგი უფრო ადრე ანტანტს გადაუდგა და მის ბრძანებას არ დაემორჩილა.

გენერალი ფონ-დერ ჰოლცი ბალტიის მხარეში აწარმოებს ოპერაციებს—თავიდანვე ამ გენერალმა, რომელიც ცნობილია, როგორც უკიდურესი წარმომადგენელი გერმანიის სამხედრო პარტიის, რევოლუციის მეორე თვეში დაიწყო მოხალისეების შეკრება და აგრეთვე ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარების შეკავება და მიაშურა აღმოსავლეთ პრუსიის პროვინციებს.

ამდენხანს, შედარებით, დაფარული იყო ფონ-დერ ჰოლცის მიზნები—მაგრამ დღეს ცხადი აშკარა გახდა, თუ რას ემსახურება ეს გენერალი და როგორი გზებით აპირობს იგი სვლას.

ფონ-დერ ჰოლცის მიზანია გერმანიის იმპერიის რესტავრაცია და მონარქიის აღდგენა

ფონ-დერ ჰოლცი გერმანიის რევოლუციაში ითამაშებს იმ როლს; რომელიც რუსეთში კორნილოვმა დაიწყო.

თქმა არ უნდა, რომ ფონ დერ-ჰოლცი უფრო ბედნიერი იქნება—ვინემ კორნილოვი ამის თავდებია გერმანიის ტრადიცია და თვითონ ამ გენერალის დიდი სამხედრო ნიჭი და გამოცდილება.

გერმანიის რევოლუცია დაუჯერებელი სასწრაფოთ მოხდა ეს რევოლუცია მხოლოდ სამხედრო კრიზისის შედეგი იყო; ერთ დროს იმპერატორ ვილჰელ-

# უკანასკნელი ცნობები

ბათომის რკინის გზა სადგურითურთ საქართველოს გადაეცა.
ბოლშევიკებმა ორიოლი დასტოვეს.
მოხალისენი გატჩინიდან 25 ვერსის მანძილზე იბრძვიან.
იაპონია ციმბირის ეკონომიურად დაპყრობას მოითხოვს.
სპარსეთი ინგლისთან ხელშეკრულობის განსახილველად ერთა ლიგას წარუდგენს.

მის პიროვნება გერმანიაში ისე პოპულარული იყო, როგორც არც ერთი მეფის და იმპერატორის არ ყოფილა არსად.

როცა ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადააყენეს—მესამე დღეს მოსკოვის ქალაქის თავი ჩელნოკოვი კრემლიდან გენერალ მროზოვსკის აიძულებდა მეფისთვის გადაეცა, რომ ბრბო ფეხით სთელავს შენს წინაპართა მტვერსო.

პებერმა გენერალმა ამ ქამურ საქციელზე ტირილი დაიწყო. არც ერთს კეთილშობილ და თავგანწირულ აქტს არ ჰქონია ადგილი რუსის იმპერატორის დაცემის გამო.

მაშინ, როცა ანტანტმა გადასწყვიტა ვილჰელმის გასამართლება, არ დარჩენილა არც ერთი გენერალი, რომ იმპერატორის სანაცვლოდ თავი არ გაეწირა და ბრალი თავის თავზე არ მიეღო.

თუ რუსის მატროსები კრონშტადტიდან ყველაფერს ანადგურებდნენ, გერმანელმა მატროსებმა თავიანთი თავი აიფეთქეს საკუთარ ფლოტთან ერთად, რომ მტრების ხელში არ ჩავარდნილიყვნენ.

ასევე მოიქცა საჰაერო ესკადრაც.

ამიტომ ფონ-დერ ჰოლცის ჯარს თანდათან ემატებიან მოხალისენი და საგრძნობ ძალას წარმოადგენს მისი მუქარა.

ამის გარდა ფონ-დერ ჰოლცი შეუთანხმდა რუსების ჯარს ბალტიის მხარეში, ყველა რუსის მთავრობები, რომელნიც ამ ადგილებზე ალმიცენდენ ფონ-დერ ჰოლცს უჭერენ მხარს და შეერთებული ძალით მიზნათ ისახავენ: შეებრძოლონ ანტანტს, ბოლშევიზმს, პატარა რესპუბლიკებს და ამით რესტორაცია მოახდინონ გერმანიის და რუსეთის მონარხიებს.

თუ მოვიგონებთ იმას, რომ რუსე[illegible] წელს უმაგრებენ ისეთი ფინანსისტები როგორც: კრუპი, სიმენსი, შუკერტი და ბევრი სხვა—მაშინ აშკარა გახდება თუ რა საფრთხეს უმზადებს ანტანტს და მოსაზღვრე ლიტოველების, ლატიშების და ესტების რესპუბლიკებს ფონ-დერ ჰოლცი.

რეაქცია წელში მაგრდება: დენიკინი მოსკოვს უახლოვდება და ჰოლცი და იუდენიჩი ჰკრავენ მეორე უფრო სახიფათო რკალს ჩრდილოეთში.

ანტანტის წინ უდიდესი ამოცანაა: რომ თავის ხელით გაზრდილი რუსული რეაქცია თავის დროზე ამოკვეთოს, სანამ ეს კიდევ შეიძლება—თორემ გამარჯვებული რეაქციონური რუსეთი და გერმანია პატარა ერების თავისუფლებაზე ადრე ანტანტის გამარჯვებას მოუღებს ბოლოს...

## საუბარი გენ. კორთან

(უკანასკნელად რუსეთიდან მიღებულ გაზეთებიდან).

**კონსტანტინოპოლი** (სევასტოპოლით რადიო), კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიაში ბრიტანიის ჯართა სარდალი გენერალი კორი.

საზღვარ გარედ წასვლამდე კორმა მოიარა ქ. ტაგანროგი, როსტოვი და ნოვოროსსიისკი.

ჟურნალისტთან საუბრის დროს გენ. კორმა გამოსთქვა თვისი მწუხარება რომ იგი გამოიხიბლა რუსეთზე.

**სწრაფვა გერმანიისადმი.**

— ძნელია ჩვენთვის, ინგლისელებისთვის, შერიგება რუსთა საზოგადოების იმ თვალსაზრისთან, რომელიც აძლიერებს გერმანიისადმი სწრაფვის სურვილს.

გერმანელებმა კარგად გამოიყენეს ხელ-საყრელი დრო და ენერგიულ მუშაობას ეწევიან. თვით მოხალისეთა არმიის რიგებშიც გერმანიასთან დახლოების იდეას ჰყავს თანაზიარნი.

გენერალი კორი ფიქრობს რომ ბერლინთან შერიგება მოხდება მაგრამ რას მისცემს ახალი მოკავშირე რუსეთს?

— უნდა გვახსოვდეს, რომ, გერმანია მოკლებულ თავის ახალშენებს, ისარგებლებს რუსეთით ბოლომდე და ყველაფერსაც გაიტანს რაც საჭიროა მისთვის. ჩვენ კი, ინგლისელებს არავითარი ეგოისტური მიზნები არა გვაქვს რუსეთში. ჩვენ გვსურს ვნახოთ რუსეთი დიდი და ძლიერი, რადგანაც იგი გაათანაბრებს გერმანიის გავლენას კონტინენტზე, ძლიერი მტკიცე რუსეთი, ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა საკაცობრიო ბრძოლაში. ეს მეტად აშკარად არის გამხდარი. მაგრამ რუსებს ეს მაინც არ ესმით.

**საქართველო-აზერბაიჯანი.**

რუსულ საზოგადოებაში დიდ გულისწყრომას იწვევს ჩვენ მიერ წარმოებული პოლიტიკა საქართველოსა და აზერბაიჯანში.

მოხალისეთა პრესსა ჩვენ გვაბრალებს „სამოსტიონურ" მოძრაობის გაღვივებას თბილისში და ბაქოში, რუსეთის ერთიანობის იდეის წინააღმდეგ.

საჭიროა ლაპარაკი, რომ ეს ასე არ არის? ნუ ივიწყებენ ჩვენი კრიტიკოსები, რომ რუსეთის საკითხთან ჩვენ თავით ბოლომდე ვართ მიჯაჭვულნი.

ინტერვენციის პროპაგანდა ინგლისში დღითი დღე იზრდება. ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენი ჯარების გაგზავნა და იარაღის ძალით ჩამოშორებულ განაპირეების შემოერთება.

რომ ლლოიდ ჯორჯის კაბინეთს ეს ნაბიჯის გადადგმა დაედას ჭურებინა მაშინ კრიზისი აუცილებელი შეიქნებოდა.

ჩვენ სხვა პოლიტიკას ვადგევართ. ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ქვეშ შეფარდებულებს შეგვყავს ჯარები რუსეთიდან ჩამოშორებულ ქვეყნებში, ჩვენ დავიცავთ ამ განაპირა ქვეყნებს იმ მომენტამდე სანამ გაჯანმრთელებული რუსეთი არ აღსდგება ფეხზე და არ შეჰკრეფს ყველაფერს რაც მისგან გარეკეულია.

ჩვენ თუ დავტოვებთ საქართველოს, მაშინ მის საზღვრებში შეიჭრებიან ქურთ-ოსმალთა ბრბოები, ან კიდევ მოხალისეთა არმიას გამოუჩნდება სამასხარაო ფრონტი, რადგანაც მცირე [illegible] ბრძო-

სანამ საქართველო ინგლისელთა ოკუპაციის ქვეშ არის, გენერალ დენიკინს შეუძლიან მოსვენებით იყოს ამასთან ჩვენ ვიცავთ საქართველოს, აგრესსიულ გამოსვლებისგან, ჩვენ ვაძლევთ რუსებს ნავთს, მაზუთს და სხ. ჩვენ ამასთანავე მბრძანებელ ხელით ავკრძალეთ ამ პროდუქტების გატანა „სოვდეპიაში" მიუხედავად ამისა რუსებს ჩვენი არა სჯერათ რა და არც უნდათ გაიგონ რომ ჩვენ მათი ჭეშმარიტი მეგობრები ვართ.

**უკრაინის საკითხი.**

დასასრულ საუბარი შეეხო უკრაინის საკითხს. გენერალ კორის სიტყვით მოკავშირეთა ფლოტს პეტლიურასთან ნიშანში აქვს ამოღებული ერთობილ ძლიერ რუსეთის იგივე ინტერესები.

აღვიარეთ რა ვინნიცკის მთავრობა, ამით ჩვენ შევქმენით ახალი ფრონტი ბოლშევიკების წინააღმდეგ, რითაც დახმარება გაუწიეთ მოხალისეთა არმიას. და როდესაც კიევსა და დნეპრთან მივიდნენ რუსეთის ჯარები, პეტლიურას ნაწილებმა დასავლეთით დაიხიეს.

გენერალ კორის ლონდონში მიაქვს დასაბუთებული მოხსენება რუსეთისა და ამიერ-კავკასიის მდგომარეობაზე, შემდეგ ის კვლავ თავის ადგილზე დაბრუნდება. („თბ. გაზ.")

## მთავრობის წრეებში

(8 ოქტომბრის სხდომა)

სხდომას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ე. პ. გეგეჭკორი, მინისტრები: ხომერიკი, რამიშვილი, კანდელაკი, სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი. მინისტრის ამხანაგები: ჭიჭინაძე, ავალიანი, ცინცაძე, ქარცივაძე, დეპარტამენტის დირექტორი—ქიქოძე, ჭიჭინაძე და მთავარ მომარაგების გამგე ქარცივაძე.

მთავრობამ დაადგინა:

**საავტომობილო სახელოსნოსათვის.**

გადახდილ იქმნას საავტომობილო სახელოსნოების გასაფართოებლად სამეურნეო საამშენებლო კომისიის მიერ შესრულებულ სამუშაოს ფასი 88425 მ. 88 კ. თანხის გამოთხოვა დამფუძნებელ კრებიდან დაევალოს გზათა მინისტრს.

**16 საუკუნის წმ. გიორგის ჯვარის შესაძენად.**

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების შუამდგომლობა ამილახვრისაგან 15—16 საუკუნის ჯვარის შესაძენად სათანადო თანხის გაღების შესახებ გადაეცეს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას.

**კახეთის რკინის გზის აქციონერთა საზოგადო კრებაზე დასასწრებლად.**

კახეთის რკინის გზის აქციონერთა საზოგადოების საზოგადო კრებაზე დასასწრებლად დაინიშნენ გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, ფინანსთა სამინისტროდან ინჟ. ალშიბაია.

**სატრანსპორტო საზოგადოების შუამდგომლობა.**

სატრანსპორტო საზოგადოების შუამდგომლობა ორი გემისა და 60 ავტომობილის შეძენის შესახებ ცნობილ იქმნეს აუცილებელ საჭიროდ დაევალოს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს შეიმუშაოს გეგმა, თუ როგორ პირობებში იქნება შესაძლებელი ამ საქმის განხორციელება.

**ტანთსაცმელით დახმარება სოფლელებს.**

სოფ. ხიზაბავრის შუამდგომლობა, ტანისამოსით დახმარების შესახებ, დაკმაყოფილებულ იქნას და ამისათვის საჭირო თანხა 91,347 მან. გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ მზრუნველობის განყოფილების განკარგულებაში.

**ყაჩაღთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.**

გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ნახევარი მილიონი მანეთი სამხედრო ფონდიდან, გორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში ყაჩაღებთან საბრძოლველად.

**წიგნები უნივერსიტეტს.**

წინადადება მიეცეს მთავარ მომარაგების საბჭოს მისცეს უნივერსიტეტს მისი კუთვნილი წიგნები, სანამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკო-სანიტარულ განყოფილებისა და უნივერსიტეტს შორის არსებულ ანგარიშების გასწორება მოხდებოდეს.

## ქრონიკა

◆ **დამფუძნებელი კრების** 14 ღვინობისთვის ანგარიში ჩვენ გაზეთის [illegible] №-ში მოთავსდება. [illegible] რი შეუდგა.

◆ **დამფუძნებელ კრებას არტაანის მაჰმადიანთა დეპეშა.** „ჩრდილოარტაანის მცხოვრებთა წარმომადგენელთა კრებას, რომელიც შესდგა სოფ. ხანახში 8 ღვინობისთვეს, დავადგინეთ, სალამი ვუძღვნათ საქ. დამფუძნებელ კრებას და ვამცნოთ მას, რომ ჩრდილო-არტაანის მუსულმანობა რაცხს, რა თავის მხარეს საქართველოს განუყოფელ ნაწილად, იმედოვნებს, რომ ქართველი ხალხი ყოველ გვარ ღონეს იხმარს საქართველოსათვის არტაანის შეერთებისათვის, რომელიც ეთნოგრაფიულად, ისტორიულად და ეკონომიურად საქართველოს ნაწილს შეადგენს. გისურვებთ გამარჯვებას გაერთიანებულ საქართველოს საკეთილდღეოდ". დეპეშას ხელს აწერს 26 წარ.

## ქალაქის გამგეობაში

◆ დედათა და ბავშთა დამცველ საზოგადოებას თანახმად მათი თხოვნისა ქალაქის გამგეობამ, ნება დართო მოაწყოს 17 ოქტომბერს ქალაქში ყულაბებით ფულის შეგროვება, ამავე დღეს გაიმართოს სპექტაკლი და კაბარე მატერიალური სახსრის გასაძლიერებლად. ყულაბების დამტარებელნი ისარგებლებენ უფასო ტრამვაით. სპექტაკლი და კაბარე განთავისუფლებულია სათეატრო გადასახადებისაგან.

◆ **ცეცხლის გაჩენა** სამშაბათ საღამოს, ქალაქის წყალთ-სადენის სადგურზე (ავჭალაში) უცაბედად ცეცხლი გაჩნდა, დაზარალდა ძველი მანქანები და სადგურის ძველი განყოფილება. ზარალი რამოდენიმე ასიათას მანეთს უდრის. სადგურის ახალი განყოფილება უვნებლად გადარჩა, ისე რომ ქალაქს უწყლობით საფრთხე არ მოელის.

◆ **გამგეობის სხდომა** ოთხშაბათს საღამოთი ქალაქის გამგეობის მორიგი სხდომა სხ. და სხ. მიზეზების გამო ვერ შესდგა.

◆ **ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა ყრილობა.** რამოდენიმე დღის მუშაობის შემდეგ 14 ღვინობისთვეს დაიხურა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა წარმომადგენელთა ყრილობა, გამგეობაში ერთი გამოსულ წევრის მაგივრად აირჩიეს ალ. თალაკვაძე.

◆ **ნახჩევან-თავრიზის რკინის გზა.** როგორც გვატყობინებენ, მატარებლების მიმოსვლა ნახჩევან თავრიზის შუა დაიწყო.

◆ **ციმბირის ქართველთა წარმომადგენლები.** ციმბირიდან თბილისში ჩამოვიდნენ ციმბირის ყველა ქალაქებსა და შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ქართველთა წარმომადგენელნი, ბ. როსტომაშვილი და ხავთასი, რომელთაც დავალებული აქვთ წარუდგენ საქართველოს მთავრობას და მოახსენონ ვრცელი ინფორმაცია ციმბირში მყოფ ქართველთა პოლიტიკური მდგომარეობის და თან ს მშობლოში დაბრუნების სურვილი.

◆ **თავდასხმა.** ბეშტაშენიდან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: 15 შეიარაღებული ოსი და სომეხი თავს დაესხა ახალქალაქის მაზრის სოფელ ხანდაკის მცხოვრებთა საქონელს დღისით, გაირეკეს 40 ცალი მსხვილი საქონელი. კვალი მიტანილია ბორჯომის ნაწილის წითელ საყდართან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გორის სამაზრო კომისარს სწრაფად მოსთხოვა შესაფერ ზომების მიღება.

◆ **გამოძიება კორნეტ ჯორჯაძეზე.** ახალციხიდან გენ. ვაჩნაძე ატყობინებს შინაგან საქ. მინისტრს, რომ გამოძიება ქართველთა მუსულმანის დივიზიონის კორნეტ ჯორჯაძის შესახებ რომელმაც მოჰკლა მეოთხე პოლკის ოფიცერი პარუჩიკი ბაგრატიონ დავითაშვილი დასრულებულიაო.

◆ **სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო** სთხოვს შინ. საქ. მინისტრს ყოფილ სასულიერო სემინარიაში დარჩენილ ნივთებს ინგლისელების წასვლის შემდეგ დაპატრონოს ის, როგორც საჭიროდ და მიზანშეწონილად დაინახავს საბჭო თვის მარწმუნებელ ქართველ სამღვდელოებისათვის.

◆ **ყაჩაღთა დევნა.** მაზრის კომისარი გომართელი ახალციხიდან დეპეშით ატყობინებს, რომ ბორჯომის გზატკეცილზე და მაზრაში მოთარეშე ყაჩაღთა დევნა ენერგიულად სწარმოებს. ბრბოს მთავარი ხელმძღვანელი მავლიუდ ასლან ოღლი დევნის დროს მოკლულ იქმნა, მიღებულია სასწრაფო ზომები ყაჩაღთა ბრბოს სალიკვიდაციოდ.

◆ **ბ-ნ აფაქიძის დაბრუნება.** დირექტორი შინაგან საქმეთა მინისტრისა ბ-ნი იას. აფაქიძე დაბრუნდა თბილისში და თანამდებობის ასრულებას [illegible]

◆ **უკანონო მოწმობები.** ბორჩალოს სამაზრ. ერობის გამგეობის თავმჯდომარე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს რომ მოსაზღვრე რაზმის კაპიტანი კონტრიძე და ვარანცოვკის საბაჟოს გამგე მოსაზღვრე სოფლელებს აძლევენ მოწმობებს ხორბლის გაზიდვის შესახებ თავის საჭიროებისათვის. ბ-ნი გომართელი ესეთ მოწმობების უკანონოთ სთვლის და ეჭვს იწვევს, მისი აზრით ეს ხორბალი საზღვარ-გარედ გასატანათა სურთ. ხორბალს იჭერს იგი ვიდრე არ მიიღებს საჭირო დირექტივებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეეკითხა ამის გამო სამინისტროებს სამხედროს და ფინანსთა, ვისგან არის ნებადართული ამნაირი მოწმობების მიცემა.

◆ **კავკასიის ეროვნებათა კულტურული კავშირი** კულტურისა, ლიტერატურისა, და ხელოვნების წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით დაარსდა კავკასიის ერთა კულტურული კავშირი. კავშირში შედიან ჯერჯერობით ქართველებისა და სომხების წარმომადგენელნი

◆ **დაჭრა** 15 ღვინობისთვეს არ. სარქისიანცმა ხანჯლით დასჭრა თავისი ცოლი დამნაშავე დააპატიმრეს.

## შინაგან საქ. სამინისტრო.

**შვეიცარიელ ქვეშევრდომთა შესახებ.**

ადმინისტრაციის ინსპექტორი გეგელაშვილი შვეიცარიის კონსულთან ერთად ბორჩალოს მაზრაში გაემგზავრა იქ მომხდარ უწესობების დროს ადგილობრივ თათრების მიერ, შვეიცარიის ქვეშევრდომთათვის მიყენებულ ზარალის გამოსარკვევად.

**ყაჩაღობა ქიზიყში.**

შინაგან-საქმეთა სამინისტროს სიღნაღიდან დეპეშით აუწყებენ, რომ ბოლოს დროს იქ ყაჩაღობა და თავდასხმა ძალიან გახშირდა. იყო შემთხვევები, როდესაც ხალხი თვით გამოდიოდა ყაჩაღების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

**საკატორღო პატიმარნი.**

ციხეთა სამმართველოს განკარგულებით თბილისის ციხეებში მყოფი საკატორღო პატიმარნი ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს. გაცემულია განკარგულება, იქვე გადაიგზავნონ სხვა ქალაქების ციხეებში მყოფი საკატორღო პატიმარნი.

**გენ. ბარათოვის საქმე,**

მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა ჯორბენაძემ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის უფროსისგან ბ-6 კედიასგან მიიღო ბარათოვის საქმის წინასწარ კვლევაძიების ოქმი.

**დეპარტამენტის ახალი დირექტორი.**

დ. აბხაზის გადადგომის გამო ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობის ასრულება დაევალა განყოფილების უფროსს ე. ალშიბაიას.

**ახანთის ქარხნის შუამდგომლობა.**

ახანთის ქარხანამ „პრომეთეი"-მ შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე, რათა იქნეს მისცენ მას საზღვარ-გარეთ თამბაქო გაზიდოს ქარხნისთვის საჭირო მანქანა მოწყობილების შესაძენათ.

## მიწათ-მოქმ. სამინისტრო.

**სასოფლო სამეურნეო კურსები.**

მიწათ-მოქმედების სასოფლო-სამეურნეო კურსებზე ჩაწერილი იყო 150-ზე მეტი მსმენელი. ამ ჟამათ ლექციებს ისმენს წესიერათ მხოლოდ 50 მსმენელი. მსმენელთა წასვლის მიზეზია, როგორც სასწავლო ფულის შეტანა, აგრეთვე ის გარემოება, რომ ბევრი მსმენელი მსახურობს სხვა და სხვა დაწესებულებაში.

**ღვინის მოსავალი კახეთში.**

წელს ღვინის მოსავალი კახეთში საშუალოზე დაბალია, თაც იმით აიხსნება, რომ შაბიამანი და გოგირდი გვიან იქნა მიღებული

**ქსანის სატყეო რაიონი.**

მიწათ მოქმედების სამინისტროს განზრახული აქვს მოკლე ხანში შექმნას ქსანის სატყეო რაიონი, რომელშიაც შევა ქსნის ხეობის ტყეები

**შენობების გაცემა იჯარით.**

მიწათ მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა თბილისის აბანოების შენობებში მყოფი დუქნები იჯარით გაიცეს საჯარო ვაჭრობით.

**მევენახეობის კურსები კახეთში**

მიწათმოქმედების სამინისტრო აპირებს მეღვინეობის და მევენახეობის 2 წლიანი პრაქტიკული კურსები გახსნას კახეთში 2 ალაგას მუკუზანის და წინანდლის სახელმწიფო მამულებში.

**მთიელთა გადასახლება.**

ახალქალაქის მაზრაში გაემგზავრენ მთიელთა წარმომადგენელნი იქ დასათვალიერებლათ.

**ყარაიაზის დასახლება.**

მიწათმოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილების ცნობით, ყარაიაზში შარშან დასახლებულია 400-მდე კომლი, წელს 200-მდე. გადასახლებულთა უმეტესი ნაწილი დასავლეთ საქართველოდანაა.

## შრომის სამინისტროში

**სავადმყოფო კასების კონფერენცია.**

ტფილისის გუბერნიის კომისარი მიმდინარე თვის შუა რიცხვებისთვის იწვევს გუბერნიაში არსებულ საავადმყოფო კასების მომუშავეთა კონფერენციას, რომელზედაც განხილულ იქნება კანონ-პროექტი ავათმყოფობისაგან მუშათა დაზღვევის შესახებ, საავათმყოფო კასების ახალ წესდების პროექტი და სხ. საკითხები.

## პროვინციის ცხოვრება

### ქ. ახალციხე.

— მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულების თანახმად ახალციხის მაზრაში ღალის სახით შეკრებილი ხორბალი უნდა გაიგზავნოს ახალქალაქის მაზრაში სათესლეთ უსახსრო მიწის მუშებზე დასარიგებლად.

— მაზრისა და ქალაქის ერობის საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა საარჩევნო სიები.

— მაზრის საარჩევნო კომისიამ მხოლოდ ს. ს. დ. მ. პ. ხმოსანთა კანდიდატების სია მიიღო.

— ერობის საარჩევნო კომისია საყოველთაოდ აცხადებს პარტიათა საყურადღებოთ, რომ ერობაში ასარჩევ ხმოსანთა კანდიდატების სია უნდა წარუდგინონ ათი დღით ადრე არჩევნებამდი

— ერობის არჩევნები ახალციხის მაზრაში მოხდება 26 ოქტომბერს.

— 4 ოქტომბერს დღის 12 საათზე ს. რუსთავში ბოროტ გამზრახველებმა გაძარცვეს 8 დუხობორი, რომელნიც ფურგუნებით ახალციხეში მოდიოდნენ ახალქალაქიდან ხორბლის საყიდლათ. ერთი დუხობორი დასჭრეს, მორტყმული აქვს სამი ტყვია. წაურთმევიათ 20 ათასი მანეთი ფული. გაძარცულების თქმით ისინი გაძარცვა სანაპირო რაზმის ოფიცრებმა რიცხვით ხუთ კაცმა. მაზრის მილიციამ იმავე ღამეს დ. აწყურში გვარამაძის სახლში დააპატიმრა ხუთი კაცი (სამი ოფიცერი და ორი ჯარის კაცი სანაპირო რაზმისა). [illegible] არ აღმოაჩნდათ. დუხობორებმა მათში იცნეს თავიანთი მძარცველები უკანასკნელნი გაიგზავნენ სამაზრო ციხეში, ოქმი გადაეცა გამომძიებელს: შეპყრობილება ამბობენ: დუხობორები არ გაგვიძარცვავს—დაღლილები ვიყავით, ახალქალაქიდან მოვდიოდით, მეფურგუნე დუხობორებმა ფურგუნზე არ დაგვსხეს, მოგვივიდა ჩხუბი. ჩვენც ვცემეთ და იმათ გვეს როლესო ჩვენ, რომ ყაჩაღები ვყოფილიყავით დამალვასაც მოვახერხებდითო.

— 4 ოქტომბერს, დღისით ს. ფარეხაში გაძარცვეს ახალციხისაკენ მომავალი სამი სომეხი, წაართვეს 10 ათას მანეთამდე, მილიციამ გაძარცულთა ჩვენებით იმ დღესვე დააპატიმრა ახალციხეში სათანადო ოქმის შედგენით ქართველ მუსლიმანთა დივიზიონის ყოფილი ოფიცერი სურმანიძე.

— მაზრის კომისრის თანაშემწემ ი. დ. ჩიჩინაძემ ერთი თვით ციხეში ჩასვა ვ. გვარამაძე, დ. აწყურში მოვაჭრე, ყაჩაღების შენახვისა და იარაღის უნებართვოდ ქონებისათვის, მასთან შუამდგომლობა აღძრა შ. საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ გვარამაძის დაპატიმრების ვადა გაგრძელებულ იქნას სამ თვემდი.

— ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე აწყურის ახლოს ხაუცარცვავთ ორი ეტლის მგზავრები, წაურთმევიათ 60 ათასი მანეთი სამაზრო მილიციამ მიიღო ენერგიული ზომები ავაზაკების შესაპყრობად.

— სექტემბრის 23, დილის 9 საათზე დ. აბასთუმნიდამ ქუთაისისკენ მიმავალ მოქალაქე დავით ყანჩაველს თავს დაესხნენ ზეკარის უღელტეხილზე შეიარაღებული ბოროტ განზრახველები, გაცარცვეს იგი და მიამალნენ მიღებულია ზომები ნაცარცვის და ბოროტ პირთა აღმოსაჩენათ.

21 სექტემბერს, ღამით ძილის დროს ბოროტ-განზრახველებმა ს. ზველში მოჰკლეს მაჰედ ჰუსეინ ოღლი მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია. მიღებულია ზომები მკვლელის აღმოსაჩენათ.

— ამ ბოლო დროს ბევრი სომხობა მიდის ახალციხიდან ბათომში.

— ხ. ტერ-კარაპეტიანი („უსულხაროთ" წოდებული), ორი-სამი დღის საპყრობილეში დ[illegible]ის შემდეგ გაათავისუფლეს და წინადადება მისცეს დასტოვოს ახალციხე.

— მაზრის ადმინისტრაციის და გვარდიის ენერგიული ზომების მიღებით და თვით ხალხის დახმარებით მაზრაში ჩადენილ ყოველივე ბოროტმოქმედებას ფარდა ეხდება, რისგამოც უკანასკნელი ცნობებით ბოროტ-მოქმედება საგრძნობლათ შემცირდა.

## ქუთაისის ქალაქის საბჭოში

ქალაქის თავმა დიმიტრი კალანდარიშვილმა ინჟინერ კაუხჩიშვილისაგან ამ დღეებში ბერლინიდან მიიღო გეგმა და ორი ეგზემპლიარი პირობის პროექტი ქუთაისში წყალსადენის გაყვანა და მოწყობის შესახებ. ქალაქის თავს კაუხჩიშვილი ატყობინებს—გერმანიაში ცნობილ წყალსადენების მომწყობ ფირმა „ტრიტონს" განზრახვა აქვს ქუთაისში წყალსადენის გაყვანის და მოწყობის საქმე აიღოსო.

— ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის მოწერილობა:—კომიტეტი გაუწყებთ, რომ ქალაქთა კავშირის საფინანსო კომისიისთვის, რომელიც უკვე შეუდგა ქალაქთა საბიუჯეტო უფლების კანონპროექტის შემუშავებას აუცილებლათ საჭიროა ქონდეს სწორი ცნობები მიმდინარე წლისთვის აღრიცხულ ზოგიერთ ხარჯებისა, რისთვისაც საჭიროა დაჩქარებით მოწოდება შემდეგი ცნობებისა: 1) რა უჯდება ქალაქს მილიციის, სამხედრო საკრებულოს და ქალაქის თვითმართველობის გამგებლობაში გადმოსული სკოლების შენახვა, 2) რა ეხარჯება ქალაქს აფთიაქების ზედამხედველთა და ტეხნიკური ზედამხედველობის შესანახათ, 3) რა ჯდება ეპიდემიასთან ბრძოლა და 4) რას ხარჯავს ქალაქი ჯარის ნაწილების სადგომებების დასაქირავებლათ და შესანახათ.

— ქალაქის გამგეობის წევრმა ლევან კოჩკაშვილმა ქალაქის ინჟინერთან ერთად შეიმუშავა რკინის გზის სადგურიდან ბალახვანის ქუჩამდე ახალი შარა გზის გასაყვანი პროექტი ამ პროექტს ამ დღეებში განიხილავს ქალაქის გამგეობა და საბოლაოდ დასკვნის გამოსატანათ მას საბჭოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიას გადასცემს

— ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მილიციის უფროსი ნილიბისტრო მაღხარაძისაგან შემდეგი შინაარსის მოწერილობა მიიღო: „ამა წლის 12 მაისიდან სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოვალეობას ასრულებს შტაბს კაპიტანი იოსებ სულაქველიძე ამ ხ ის განმავლობაში სამსახურში ი. სულაქველიძემ დიდი უნარი და გამჭრიახობა გამოიჩინა. გთხოვთ სულაქველიძე ზემო აღნიშნულ თანამდებობაზე დაამტკიცოთ.

— ქუთაისის ქალაქის საბჭომ თავის მორიგ სხდომაზე 2 ოქტომბერს დაადგინა: დაენიშნოს ჯამაგირი თვეში მილიციის უფროს 2500 მანეთი, მილიციის უფროსის პირველ თანაშემწეს 2000 მანეთი, მეორე თანაშემწეს 1800 მანეთი, სისხლის სამართლის მილიციის უფროს 2000 მანეთი, კომისარ ბს 1500 მანეთი და კომისრის თანაშემწეებს 1400 მან.

— ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრი სასურსათო განყოფილების გამგე ნიკოლოზ საყვარელიძე თანახმად ქალაქის გამგეობის დადგენილებისა გაემგზავრა თბილისში ქალაქისათვის საჭირო სურსათ სანოვაგის, შეშის, ფართლეულობის, ფეხსაცმელების, შაქრის, ჩაის და სხვა საქონლის შესაძენათ.

# სვეტი ცხოვლობა

ხალხმა მცხეთისაკენ 13 ღვინობისთვეს საღამოთვე იწყო დენა. მცხეთის შარაზედ გამწკრივებულ ურმებს, მიჰყავდათ მცხეთას აურაცხელი მლოცველობა სურსათ სანოვაგით.

**მ წ უ ხ რ ი**

მწუხრის შემდეგ რომელიც იქმნა შესრულებული ადგილობრივ სამღვდელოების მიერ ტაძრის გალავანში გაიმართა ღამის თევა.

ვრცელ ეზოში ენთო ცეცხლები, რომლის გარშემო მღეროდნენ და ცეკვავდნენ ხოლო შეთქმულნი კი ტაძარს მეხლის ჩოქით უვლიდნენ. აღსანიშნავია ერთი: ღამის თევაზე შეყრილიყვნენ უმეტესად არაგველები. ანთებულ ცეცხლთან მათი სიმღერა იყო განსხვავებული, ძველი ქართული ლირიული, ქედრონის ბინებით.

ცნობილია, რომ მეფე როსტომმა მეჩვიდმეტე საუკუნეში შემოიტანა საქართველოში სპარსული ზნენი და მუსიკა. სპარსულ მუსიკაზედ აიღის საქართველო და ქართული მუსიკა შეეფარა არაგვის მთებს.

გაზვიადებული შავი სილუეტი ტაძრისა და მწუხარე ყორეები სანთლებით ჰქმნიდნენ დაუსრულებელ ფანტასტიკას.

მცველთა გუგუნი შუაღამემდის არ შეწყვეტილა.

**მისი უწმიდესობა კათოლიკოსი ლეონიდე მცხეთაში**

დილის 9 საათისათვის, თბილისიდან მცხეთამდი საგანგებო მატარებლით მობრძანდა მისი უწმიდესობა, სრულიად საქართველოს კათალიკოსი ლეონიდე, საკათალიკოსო საბჭოს და თბილისის სამღვდელოების თანხლებით. სადგურზედ მის უწმიდესობას დიდი ძალი ხალხი შეეგება.

დილის 10 ნახ. საათზედ დაიწყო საზეიმო წირვა, რომელიც 12 საათამდის გრძელდებოდა.

**კათალიკოსის სიტყვა**

წირვის დასრულების შემდეგ მისმა უწმიდესობამ შემდეგის სიტყვით მიმართა მლოცველთ:

„მცხეთობა! სვეტიცხოვლობა! რა წმიდა და სამღთო გრძნობებს უღვიძებენ ქართველს ეს სიტყვები! რა საამო და ნაცნობი სურათები გვეფინება თვალ წინ მათ გაგონებაზე!...

სვეტი ცხოვლობა—ეს ის დღეა, მთელი ქართლი ქალიდამ კაცამდე რომ ფეხზე დგება, სადღესასწაულოთ იმოსება და საღმრთო განცდებით სახე გაბრწყინებული რომ სიამოვნებით მცხეთისკენ მიეშურება აქ, გადაჩარდახებული ურმით, იქ ცხენით, სხვაგან მატარებლით, ეტლით ან ფეხით, დატვირთული თავისთვის საჭირო საგზლით, ხატისთვის შესაწირავი ზედაშე — სეფისკვერით, გლახა-დავრდომილთათვის გასაკითხი ულუფით და საქვეყნო საქმეებზე გასაცემი ხვედრი წვლილით.

მცხეთობა ის დღეა, თვითეული მორწმუნე ქართლელის გულში რომ თავის თავად იბადება მშობელ ერთან გაერთიანება-შეერთების ძლიერი წყურვილი, მძლავრი სურვილი საკუთარი გულისა და გონების ჩაღრმავებისა მშობლიური ერის ზრახვათა და გულისთქმათა საერთო იმბაზში, მხურვალე წადილი კერძო პირებთა და ერის შორის იმ ერთერთობის შექმნისა, რომლის თვალსაჩინო მაგალითს იძლევიან მტკვარი და არაგვი სწორეთ მცხეთის მადლ მოსილ მიდამოებში სვეტიცხოველის კალთებზე სალოცავ-საზეიმოთ თავმოყრილ ქართლის შვილებისათვის უძირო ქარქვეტს, რომ თვითეული მათგანი თავისი სულიერი და ხორციელი არსებობის ფესვებით მკვიდრად არის ჩაჭიდარ ჩანიერთებუ ლი დედა სამშობლოს სხეულში, განუყოფელ-განუკვეთელი ნაკვთია იმ ერთეულისა, რომელსაც სახელად ქართველი ერი ეწოდება, რომ სვეტიცხოველისებური ტაძრებით ყველანი მაგრა ვართ მიკერებულნი შორეულ წინაპართა კალთებზე, სვეტი ცხოველი დიდსა და პატარასთვის გასაგები ხდება მამა-პაპათა გულისცემა, ჩვენდა მომართული მათი მშობლიური ძახილი, ის ანდერძი და მცნება მათი, რომელიც გზის მაშუქებელ ლამპრად უნდა გვეჭიროს ყველას ხელში.

დღევანდელი სანახაობა სვეტიცხოვლის ეზოს სურათისა უდავოდ ხდის შიურებელთა და მახლობელთათვის, რომ ქართველის მკვიდრთა ცხრა მეათედი ღრმა მორწმუნე და დიდი ღვთის მოსავია. ამ ზღვა ხალხის ენაზე ურწმუნოობა, უსჯულოება, და მოუნათლაობა იგივეა, რაც პირუტყვობა, ნადირობა, ველურობა, გონება-ზნეობის სიბნელე და უბადრუკობა.

აქ მოსულ ხალხის დიდი ნაწილი მოკლებულია ქართულ საისტორიო მწერლობასთან ნაცნობობას, მაგრამ სამაგიეროთ მის მახვილ და საზღაპრო სიმტკიცის მეხსიერებაში დაცული არის ყველა ის ზეპირთქმულებანი და გარდმოცემანი, რომლებიც წერილობით საბუთებზე ნაკლებად არ უშუქებენ მას სამშობლოს თავგადასავალს, ამ ტაძრის და მის მსგავს ძეგლების აშენების ისტორიას, მირონ მადინებელი სვეტის აღმართვის ამბავს და სხვა და სხ.

ამ ღვთის სადიდებლად შეკრებილი ერის შეურყეველი რწმენით სვეტიცხოველი და მსგავსი ტაძრები, მამა-პაპათა უკვდავი ანდერძის ის ცოცხალი, წიგნია, რომლის ფურცლებზედაც ყოველი ქართველი მკაფიოდ და თავისუფლად კითხულობს:

„ილოცე, იშრომე და ისწავლე".

ამ ხალხს ქრისტეს მოძღვრების მიღება-შეთვისებისათვის სახელად უწოდებია მონათვლა, ნათლისღება, ე. ი. სიბნელიდან სინათლეში გამოსვლა, ბნელეთის მოშორება და ნათლის სფეროთი შემოსვა.

საუცხოო, გენიოსური შეფასებაა ქრისტიანობის მნიშვნელობისა! დიაღაც რომ ქრისტიანობა კაცობრიობის მაცოცხლებელი მზეა. არასდროს და არსად მთელ დედამიწაზე არ ყოფილა მაგალითი, რომელიმე ერი დასდგომოდეს ურწმუნოობის გზას, უარეყოს სჯული, ხელი აეღოს მამა-პაპათა სალოცავებზე, დაენგრიოს წმ. ტაძრები და თვითონაც ქვეშ არ მოჰყოლოდეს ამ ნანგრევებს, არ აღგვილიყოს დედამიწის პირიდან სარწმუნოების დაკარგვასთან ერთად, შემდეგ გაუსჯულოებისა ხელიდან არ გამოსცლოდეს საკუთარი მიწა-წყალი. მოგახსენებთ: ვერავინ ძე ხორციელთაგანი ამის გასაბათილებელ საბუთს ვერ მოსძებნის კაცობრიობის ძველს და ახალ ისტორიაში და რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სარწმუნოების დაკარგვა მარტო ჩვენთვის, ქართველებისათვის არ იქნება აღმდისწერო, ურწმუნოობა ქართველებს არ მოგვსპობს, არ აღგვგვის ქვეყნიერობიდან და არ მოგვიღებს ბოლოს?!

სრულებით არავითარი საბუთი!

მაშ, საყვარელნო, ჩვენდა საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ, ისევ ვილოცოთ, ვიშრომოთ და ვისწავლოთ გაორკეცებული გულმოდგინებით თანახმად მამა-პაპათა უკვდავი ანდერძისა, ნურაფრის გულისათვის ნუ დაივიწყებთ სვეტიცხოვლობას, ნუ გავაციებთ ნურსად წინაპართა სალოცავებს, ვიმოქმედოთ ქალმა და კაცმა ცხოვრებაში ღვთისადმი ურყევი ერთგულება-სიყვარულით და გვწამდეს, რომ ამ გზით სიარული გაამეფებს ჩვენს ცხოვრებაში ქრისტიანულ ძმობა-ერთობას, მოგვცემს ეროვნულ სრულს შეგნებას და სათაყვანო სამშობლოს მოუპოვებს ერთა შორის სათანადო პატივისცემას. ამინ.

**კ ა რ ვ ე ბ შ ი**

ეკლესიის გალავანში, სადაც აუარებელი ხალხი ლხინს და ქეიფს იყო მიცემული, საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით გამართული იყო სადღესასწაულო ბაზარი. რამოდენიმე ადგილს გაშლილ კარავებში ქართველი მანდილოსნები ყიდენ სხვა და სხვა საჩუქრებს.

ერთს კარავში გენ. გაბაშვილის მეუღლის ქ-ნ ნინო გაბაშვილის მიერ მოწყობილი იყო მცხეთის კერამიკის შკოლის ნაწარმოებ თიხის ჭურჭლეულობის სავაჭრო, და ხალხი დიდის სიამოვნებით ყიდულობდა ლამაზ სურებს და ჭიქებს

მეორე კარავში კნ. თამარ დადიანისას და ქეთ. ამირეჯიბისას მოეწყო შალის სავაჭრო

წირვის შესრულების შემდგომ, მისმა უწმინდესობამ კათალიკოსმა, ინახულა ქ-ნ მარიამ რამიშვილის კარავი, სადაც მისთვის გამზადებული იყო ჩაი და ხილეულობა. კათალიკოსმა ნახევარი საათი დაჰყო კარავში, უბოძა თვისი მაღალი ლოცვა კურთხევა დიასახლის და გაემართა სხვა კარავებისაკენ.

**საზეიმო სადილზედ.**

ნაშუადღევის 1 საათზედ, მისი უწმიდესობა და საპატიო სტუმრები, მოწვეულ იქმნენ საზეიმო სადილზედ. რომელსაც დაესწრნენ საკათალიკოსო საბჭოს წევრები, მთავრობის წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები, ქალაქის მოურავი ბ-ნი ბ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლები და სხვანი. თამადათ არჩეულ იქმნა ბ-ნი ბ. ჩხიკვიშვილი, რომელმაც თავის პირველ სიტყვაში აღნიშნა ქართული ეკლესიის ღვაწლი საქართველოს ისტორიაში და ის ეკლესიური და სარწმუნოებრივი გრძნობანი რომელიც ღრმად არის ჩანერგული დღესაც ქართველ ერში.

მან სხვათა შორის სთქვა, რომ რიდესაც უცხოელებმა გაიგეს, რომ სოც. დემ. პარტიის მიმდევრები სვეტიცხოვლის დღესასწაულზედ წამოსვლას აპირებდენ, გაკვირვება გამოსთქვეს, რადგან ამ პარტიის მიმდევრები ევროპაში სასტიქათ ებრძვიან ეკლესიას; მაგრამ ჩვენო—განაცხადა ბ-ნმა ჩხიკვიშვილმა, პატივს ვცემთ იმ წმინდა გრძნობებს, რომლითაც განმსჭვალულია ქართველი ერი:

საერთო ვაშამ დაჰფარა თამადის ლამაზი და მოხდენილი სიტყვა.

პართენ გოთუამ მიირთვა მისი უწმიდესობის კათალიკოსის სადღეგრძელო. შალვა ქარუმიძემ საქართველოს მთავრობის. საერთო ვაშას ძახილით მერმედ იქმნა სადილზედ დამსწრე ამერიკელ სტუმართა სადღეგრძელო წარმოთქმული.

ილაპარაკეს აგრეთვე დუტუ მეგრელმა, მიხეილ მაჩაბელმა და სხვებმა.

ყველა სიტყვებს ინგლისურად სთარგმნიდა სიონის ტაძრის კანდელაკი დეკანოზი კაპანაძე, რომელმაც აგრეთვე შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა მცხეთის ტაძრის რესტავრაციისათვის.

სადილის დასასრულს, ნაშუადღევის 5 საათზედ მისმა უწმიდესობამ კათალიკოსმა ლეონიდემ მიირთვა თამადის, ბ-ნ ბ. ჩხიკვიშვილის სადღეგრძელო და მადლობა გადუხადა მას.

ის იყო, სტუმრები უკვე იშლებოდენ რომ ნადიმზედ მობრძანდენ ბ-ნი აკაკი ხოშტარია მეუღლით, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი პ. ჭიჭინაძე, დამფუძნებელი კრების წევრი დ. თოფურიძე, დ. ღამბაშიძე და ინგლისის წარმომადგენელი საფინანსო საქმეებში გენ. ნიუკომი და პოლკ. სტოქსი.

გაიშალა მეორე ტრაპეზი, რომელზედაც მობრძანდა კათალიკოსი და თავისი ლოცვა-კურთხევა უბოძა სტუმრებს.

თამადათ არჩეულ იქმნა დავით ღამბაშიძე და მხიარულება გვიან ღამემდის გაგრძელდა.

**ბ. აკაკი ხოშტარიას უხვი შეწირულება.**

ბ. აკაკი ხოშტარიამ, სვეტიცხოვლობის დღესასწაულის აღსანიშნავად საქართველოს საკათალიკოსოს შესწირა 75 ათასი მანეთი და ამდენივე ქალაქ თბილისის სასარგებლოდ.

# აზერბეიჯანი

**საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართვა პოლკ. ჰასკელისადმი.**

სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში მაჰმადიანებზე მომხდარ ძალადობის გამო, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯაფაროვმა მიჰმართა პოლკ. ჰასკელს სთხოვა რა დახმარება და საქმის ვითარების გამორკვევა. პოლკ. ჰასკელი შეეკითხა სომხეთის მთავრობას, რომელმაც არ უარჰყო ეს სამწუხარო ფაქტები და დასდო პირობა, რომ დაინიშნება საგანგებო კომისსია ადგილობრივ საქმეთა გამოსარკვევად. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სთხოვა პოლკ. ჰასკელს რათა კომისსიაში საქმის მიუდგომლად გამორკვევისათვის შედიოდნენ ნეიტრალ სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც.

**პრემიერ მინისტრთან.**

სომხეთის წარმომადგენელმა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ბეგზადიანმა ინახულა პრემიერ მინისტრი ნ. ბ. უსუბბეგოვი და ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი სომხეთ აზერბაიჯანის დამოკიდებულებათა მიმდინარე საკითხზე. საუბარში ჩნდებოდა სადაო საკითხების გამოსარკვევი გზები.

**უკრაინის მისსიის ჩამოსვლა ბაქოში.**

10 ღვინობისთვეს ბაქოში ჩავიდა უკრაინული მისსია, რომელშიაც შედიან: მისსიის მეთაური ბ. კრაევკი, გენერალ კოხსული ბ. ლესნიაკი, მდივანი ბ. ტიშკევიჩი, სამხედრო ატტაშე პოლკოვნიკი ჩესოვსკი და მონდობილობათა ოფიცერი ა. გრიზერი.

11 ღვინობისთვეს მისსია წარუდგა საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. ჯაფაროვს.

**მილლიონერ ჰასან-მუსტაფაევის საქმე.**

ცნობილი მილლიონერი ნავთის მრეწველი ჰასან მუსტაფაევი, რომელიც 1660 მუხ. დაპატიმრებულ იყო წინასწარი გამოძიების დროს, ახლა განთავისუფლებულია ცენტრალ ციხიდან 300 ათასი მანეთის თავდებობით.

**პურის კრიზისი**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ყოველ ღონისძიებას ხმარობს პურის კრიზისის გასანელებლად. ამ მიზნით სამინისტრომ მიჰმართა ყარაბაღის გენ.-გუბერნატორს თხოვნით, რათა საგუბერნატოროს საზღვარი გაიხსნას ბაქოში ხორბლის თავისუფლად შემოზიდვისთვის.

# დამოუკიდებელი ეგვიპტე

(გაზ. „საქართვ." საკუთარი ცნობა)

ზაგულ ფაშამ, პარიზში მყოფ ეგვიპტის ეროვნულ დელეგაციის მეთაურმა, კაბელით აცნობა ქაიროში, რომ ამერიკულ სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ ეგვიპტე „დამოუკიდებლად" გამოაცხადა. ამ „ამბავმა" დიდი ენტუზიაზმის მანიფესტაციები გამოიწვია.

ქაირის გარდა დემონსტრაციები გაიმართა კვლავ ალექსანდრიაში დიდი მასშტაბით.

როგორც ცნობილია, ქაირი, ერთად ერთი ადგილია, სადაც მოსმენილ იქმნა ზაგულ ფაშას განცხადება.

ეგვიპტეს ნაციონალისტების მემარცხენე ფრთის წარმომადგენელმა თავის თავი უკვე ბრიტანიის სასტიკ მოწინააღმდეგედ გამოაცხადა. მის შეხედულებებს ცრაქცია არ იზიარებს.

# ინგლისელ ელჩთა დანიშვნა

მეფემ დაადასტურა შემდეგი დანიშვნანი დიპლომატიურ კორპუსში.

სერ ჯორჯ ვ. ბიუკენენი, ყოფილი ელჩი პეტროგრადში—რომში. სერ ესმ ხოვარდ, ელჩი შვეციაში, ელჩად მადრიდში.

სერ ჩარლზ ალბან იუნ, ელჩი გვატემალაში და სხ. სამხრეთ ამერიკის რესპუბ. ელჩად სერბიისა, კროაციის და სლავიის მეფესთან.

სერ როლანდ ვ. გრახამ საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივნის თანაშემწე ელჩად ჰააგაში.

სერ ჰორაციო რუმბოლდი, ელჩი ბერნში, ინიშნება პოლონეთის რესპუბლიკაში. მ—რი თეო რუსსელ, ბალფურის დიპლომატიური მდივანი, ელჩად ბერნში. მ-რ კოლვილ ა. დე—ვ. ბარელიი, მრჩეველი ვაშინგტონის საელჩოში—ელჩად შვეციაში.

მისტერ ვ. ერსკინ, მადრიდის საელჩოს მრჩეველი—ელჩად ყუბანში.

ლორდ აგრონ, ციურიხის უფროსი კონსული, ელჩად ფინეთში.

სერ ჯორჯ რუსსელ კლერკ, დაინიშნა ელჩად ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკაში. („დეილ-მეილ").

# ვილსონი და ოსმალეთი

სმირნის დატოვებამდე, ამერიკის წარმომადგენელმა დიდ ვეზირს ჩააბარა შეერთებულ შტატების პრეზიდენტის ცნობა, რომელიც განუმარტავს ოსმალეთის მთავრობას, რომ თუ ოსმალეთის ტერიტორიაზე ან მისდა მოსაზღვრე ამიერკავკასიის ოლქებში მოხდა ხოცვა-ჟლეტა, მაშინ პრეზიდენტი იქონიებს თავის გავლენას, რათა საზავო კონფერენციამ თანახმად ცნობილ თოთხმეტ მუხლთა მეთორმეტე მუხლისა არ იცნოს ოსმალეთის თვითგამორკვევის უფლება.

პორტამ ამის შესახებ ბრიტანიის და საფრანგეთის წარმომადგენლებს აუწყა. უკანასკნელმა, იქონია რა მხედველობაში, რომ ამერიკელთა ცნობა დამყარებულია საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებაზე მიჰმართა თავის მთავრობის ინფორმაციისთვის. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ პრეზიდენტის ცნობა მალე ცნობილი შეიქმნა.

სტამბოლის პრესსას დღემდის არ უმსჯელია ამერიკულ ნაბიჯის გადადგომაზე. მთავრობის წევრები იჯყვიან, რომ ოსმალეთს არ ძალუძს პასუხი გასცეს იმ თავის ნებით მომხდარ ამბებისთვის რომელიც ხდება ამიერ-კავკასიაში და რომ ჰავასის აღმოსავლეთით მუსტაფა ქემალი უფრო ძლიერია, ვიდრე დიდი ვეზირი.

ერთია გასათვალისწინებელი, რომ რანაირიც გინდ იყოს ოსმალეთის მთავრობის პასუხისმგებლობა ამიერ-კავკასიის უკანასკნელად მომხდარ მღელვარებაზე—ისინი გამოწვეულია ოსმალთა აგენტებისაგან. შემდეგ კარგი იქნებოდა მუსტაფა ქემალი და მისი პარტია (თუ მართლა არიან პატრიოტები როგორც თავის თავს აცხადებენ) თუ გაითვალისწინებდნენ პრეზიდენტის მუქარას („ტაიმს.")

# ნიკოლოზ II-ის მკვლელები

მოსკოვის „პრავდა" იტყობინება რომ ნიკოლოზ II-ის მკვლელობის საქმის მეთაურები კოლჩაკის მთავრობამ შეიპყრო.

მკვლელობაში ჩარეულია 100 კაცი.

# დადიანის დაპატიმრება

ოდესსიდან მოსული ცნობით ზღვაში გასულ ხომალდ „გიორგი"-ზე დააპატიმრეს ჩვიდმეტი ბოლშევიკი, მათ შორის საბჭოთა პირველ პოლკის კომანდირი თავადი დადიანი.

# ბორის სავინკოვი

გაზეთი „რუს" იტყობინება: კიევში ბ. ბ. სავინკოვის კიევში ჩამოსვლას. სავინკოვი კოლჩაკის წარმომადგენლია კიევში.

# კერენსკი ბერლინში

ა. კერენსკის, რომელიც იძულებული გახდა ლონდონი და პარიზი დაეტოვებინა ამ ჟამად იმყოფება ბერლინში, სადაც კითხულობს ლექციებს რუსეთის საკითხის გარშემო ავრცელებს რა პროპაგანდას გენერლების დენიკინის, იუდენიჩის და ამირბარ კოლჩაკის მთავრობათა წინააღმდეგ.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენ.).

ღვინობისთვის 14.

**ლიონის რადიოსადგურის ცნობა**

**პ უ ა ნ კ ა რ ე.**

პუანკარე ინგლისში ნოემბრის 10 მიემგზავრება.

გენ. გორო დაინიშნა საფრანგეთის უმაღლეს რწმუნებულად სირიაში და საფრანგეთის ჯარების მთავარსარდლად აღმოსავლეთში.

**რუმინეებისთვის მუნგრეთში.**

დადგა დრო, როდესაც რუმინებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ უნგრეთის დაპყრობის შემდეგ, უმაღლესი საბჭოს განკარგულებათა წინააღმდეგ, მათ მიერ ჩადენილ მტაცებლობის გამო. საზავო კონფერენციამ გაგზავნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს სია რუმინიის არმიის მიერ ბუქარესტში გაზიდულ საქონლისა და საგნებისა. ამ საქონლის ღირებულების ჯამს გამორიცხავენ იმ ფულიდან, რომელიც რუმინიას ერგებოდა უნგრეთთან ანგარიშის გასწორების დროს. მიუხედავათ რუმინულ წყაროებიდან მიღებულ ცნობებისა, რომ საჩქაროდ სწარმოებს ბუდაპეშტის დაცლა, უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი რუმინიიდან იუწყება, რომ არავითარი ევაკუაცია არა ხდება. ასევე არ ასრულებენ რუმინელები თავის დაპირებას უნგრეთში პოლიციის შექმნის შესახებ.

# ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი**, ოქტ. 11. ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი.

**ლიონი**, ოქტ. 12. სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პრინც ფირუზას სიტყვით, სპარსეთი ფიქრობს, ინგლისთან დადებული ხელშეკრულება ხალხთა ლიგას გადასცეს განსახილველად. პრინც თავის ქვეყნის მწუხარე მდგომარეობა დაჰხატა. მიუხედავად ნეიტრალიტეტისა, სპარსეთი განადგურებული, დაშლილი და დანაწილებულია. არავითარი მიმოსვლის საშუალება არ არის, თეირანის მთავრობის ძალა-უფლებას არ აღიარებენ. პრინცმა გამოაცხადა რომ სპარსეთმა დელეგაცია გაგზავნა პარიზში, რათა საზავო კონფერენციას სპარსეთის მდგომარეობა გააცნოს, მაგრამ დელეგაციის ყურის გდება არავის არ სურს.

**ვიტებსკი**, ოქტ. 10. ვარშავის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ავსტრიის მთავრობა ბელაკუნას გაცემაზე უარი სთქვა, ის მოითხოვს იმ ბრალდების დამტკიცებას, რომელშიაც მას ამტყუნებენ.

**ნაუენი**. ოქტომბრის 10. საფრანგეთის მიერ დაპყრობილ საარის ოლქში გერმანიის მცხოვრებლებმა გერმანიის ყველა ოფიციალურ და საზოგადო დაწესებულებებს მიმართეს პროტესტით, საფრანგეთის სამხედრო ძალების მოქმედების გამო. მოწოდებაში ავტორები მოითხოვენ საარის ოლქში გერმანელ კანონების აღიარებას, სამოქალაქო თავისუფლების აღდგენას, საოკუპაციო ჯარის შემცირებას და საფრანგეთის ეროვნულ დროშის პატივისცემის ვალდებულობის გაუქმებას.

# ორი ქვრივი.

(დასასრული)

სოსომ ცრემლები რომ დაინახა სიბრალულით აღივსო. ბუნებით გული ძალიან ჩვილი ჰქონდა.

— ბატონო, მითხარით მაინც ოქვენი ქმრის გვარი! —მიმართა ახლა კი ლმობიერი კილოთი.

ქალმა ცრემლები მოიწმინდა.

— უი! თვალები კი დამიდგა!—წამოიძახა მუხლზე ხელის დაკვრით.— განა გვარი არ მოგახსენეთ? მაპატიეთ გენაცვალე! მას აქეთ (ეს ერთი ოცვეა სწორედ) რაც ქმარი დავკარგე, სულ გონება დაბნეული დავდივარ... ხირაძის ქვრივი გახლავართ აი, საშა ხირაძე, თქვენთან ერთად რომ გაათავა უნივერსიტეტი.

ხირაძის გახსენებაზე სიმთაძეს თვალწინ წარმოუდგა შუა ტანის, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, მახვილი სიტყვა-პასუხიანი, რომელიც ერთ დროს ანოსაც ეტრფოდა,—მისი ცოლად შერთვა უნდოდა მაგრამ ვერას გახდა. 20 წელიწადი იყო, რაც აღარ ენახა. სოსომ ანო შეირთო და ხირაძეც თვალიდან დაიკარგა, სხვა, ქალაქში გადასახლდა.

— მაშ თქვენ ხირაძის მეუღლე ბრძანდებით?- -შეეკითხა სოსო ქალსა მაშინალურად.

— დიახ, ხირაძის მეუღლე! ეხლა ქვრივი ვარ... ოხერა!—მიუგო ქალმა.— პატრონი არავინა მყავს. ნეტავი უკან გავყოლოდი მაინც! მე მგონია ასეც მოხდება, თუ არავინ გამიწევს მფარველობასა.

კიდევ ცრემლები გადმოყარა.

— დიახ, კარგი იქნება, რომ ცოლი ქმარს გაჰყვებოდეს და ქმარი ცოლსა —წამოილაპარაკა თავისთვის სოსომ, ქვრივის სიტყვებზე.

— კარგი იქნებოდა, მაგრამ აგრე არ ხდება, ან თუ ხდება ზღაპრებში —სთქვა ქვრივმა ამოოხვრით.—ჩვენზე როდია დამოკიდებული ჩვენი სიკვდილი.

— რატომ არ არის? განა არ შეიძლება ადამიანმა თვითონვე მოისპოს სიცოცხლე.—უთხრა სოსომ.

— ეგ ხომ თავის მკვლელობა იქნება!—წამოიძახა ქვრივმა აღშფოთებით —როგორ შეიძლება? მე წინააღმდეგი ვარ.

— ძალიან კარგათაც შეიძლება— გაისმა ქიმიანი სიტყვები.

ქვრივმა გაკვირვებით გადახედა სიმთაძეს, მძიმედ აათვალიერ-ჩაათვალიერა თავის ქმრის ამხანაგი და მკლავზე რომ ძაძა დაუნახა, ტუჩებზე ხელი დაიდო. აქამდის არ შეენიშნა. ხელი დაადო ზე.

— ეს რათ გაქვთ გაკეთებული, ბ-ნო სოსო?—დაეკითხა სატირლად გამზადებულის ხმით.

სიმთაძეს ყელში რაღაც მოებჯინა ამ შეკითხვაზე. პასუხის მიცემა გაუძნელდა.

აი, ერთი კვირაა, რაც ცოლი დავასაფლავე, წამოილუღლუღა ძლივს ძლივობით და გაჩუმდა. როგორც იყო სული მოითქვა და განაგრძო.

— მე ვერ ვიკისრებ ეხლა ბატონო, რაიმე საქმეს, მიმართეთ. ვსწუხვარ, რომ უარს გეუბნებით, მაგრამ...

— აბა რას მიბრძანებთ? როგორ შეიძლება? ან თქვენა ხართ მხოლოდ ჩემი ერთად ერთი ნაცნობი და თქვენც უარს მეუბნებით! —წარმოსთქვა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ქვრივმა და ისევ ტირილს მიმართა. სიმთაძის გულის მოსალბობათ.

ტირილმა გასჭრა და სოსო იძულებული გახდა საქმის გაკეთებას დაჰპირებოდა.

ქვრივმა ქაღალდები გადმოულაგა.

— აი, ბატონო სოსო, ეს ჩემი ქმრის საბუთებია, პენსია მეკუთვნის და აქნობამდე მიგვიანებენ, რათ სჩადიან ამას, ვერ გამიგია, იმედი მქონდა უდავიდარაბოდ გამოვიტანდი, მაგრამ მატყუვდი, ნეტავი თავიდანვე თქვენთვის მომემართნა. აქნობამდე საქმე ხომ გაკეთებული მექნებოდა.

სოსომ ქაღალდები გადაათვალიერა და დამშვიდდა: ყველა საჭირო დო-

**სამხრეთის ფრონტი.** ღლუხოვის, რილსკის და ლგოვისკენ ჩვენი ჯარი მარჯვედ წინ მიიწევს. ვიტეჟის მიმართულებით მოწინააღმდეგემ ჩვენი ჯარი რამდენიმედ შეავიწროვა.

**ოხტროვი** ოქტ. 7. ინგლისური გაზ. ცნობით, გმლაზგოს ტრედ უნიონების კონგრესმა რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ კონგრესი ავალებს საპარლამენტო კომიტეტს მთავრობას მოსთხოვს საყოველთაო სამხედრო ბეგარის კანონის გაუქმება და ინგლისის ჯარის დაუყოვნებლივ გაწვევას. რუსეთიდან. თუ მთავრობამ ეს დაუყოვნებლივ არ შეასრულა, მაშინ უნდა მოიწვიოს ტრედ-უნიონების საგანგებო კონგრესი მთავრობის მოქმედების მიმართულების შესამუშავებლად.

# სოფიიდან თბილისამდე

(შთაბეჭდილებანი)

I.

როდესაც უკრაინის დელეგაცია, ბ. ა. შულგინის მეთაურობით, ბულგარეთში დანიშნული,—სოფიაში ჩამოვიდა, იქ მყოფ რუს სამხედრო ტყვეებში დაიწყო გამოყოფა უკრაინელებისა რუსებისაგან, რამაც არა ჩვეულებრივი კონფლიქტი გამოიწვია მთელ ტყვე აფიცერთა და ჯარის კაცებში. უკრაინელებს მოღალატეებს უწოდებდნენ, ჰლანძღავდნენ როგორც უკრაინას, ისე გეტმანს და მის „აგენტ" შულგინს. ეს უთანხმოება იქამდის მივიდა, რომ ბულგარეთში მყოფი რუსის სამხედრო ტყვეები ორ დიდ ბანაკად გაიყვნენ: უკრაინელები და ნამდვილი რუსები. ჩვენ შორის თუმცა ძალიან ცოტანი იყვნენ რუსის მონარქისტები, მაგრამ მაინც დაიბადა ერთ გვარი განხეთქილება და ზიზღიც კი უკრაინელებისადმი, რომელთაც თავიანთ კონსულის ჩამოსვლისთანავე თავისუფლად ამოისუნთქეს: ისინი გაანთავისუფლეს, შეეძლოთ უჯარისკაცოდ ყველგან სიარული და ფულიც ეძლეოდათ: კვირაში 35 ლევი *).

ამ ორ გაყოფილ ბანაკიდან, ჩვ ნ, ქართველებს არც ერთი არ გვაინტერესებდა და არც უპირდით მხარს. ჩვენ სულ 3 თუ 4 აფიცერი ვიყავით და თითქმის არ ვჩანდით, თუმცა იმ ორი წლის განმავლობაში, რომელიც ჩვენ იქ დავჰყავით ერთად,—ვაცნობდით ჩვენ კოლეგებს საქართველოს, მის წარსულს, ზნე-ჩვეულებას, დიდი სიმპატია დავიმსახურეთ და დიდადაც დავაინტერესეთ ბევრი ტყვე რუსის აფიცერი ჩვენი ქვეყნითა და მისი მდგომარეობით. ზოგმა ქართული ენის შესწავლაც კი მოისურვა და ჩვენც რამდენადაც შეგვეძლო უკმაყოფილებდით ამ სურვილს. როდესაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულებით თავზარ დაცემულებმა გაიგეს, ჩვენმა ქვეყანამ არ სცნო ეს ხელ-შეკრულება და ომიც კი დაუწყო ოსმალეთსაო, ისინი ერთხმად გაიძახოდნენ:

— გაუმარჯოს საქართველოს, მართლა ყოჩაღები ყოფილან, ვაშა ქართველ მამაცობასაო!.. და ჩვენც უფრო ავმაღლდით მათ წარმოდგენაში.

ამ რიგად, უკრაინელები გამოიყვნენ და მოემზადნენ კიდეც სამშობლოში დასაბრუნებლად. ჩვენ და რუსები კი უცდიდით როდის გამოიდარებდა ჩვენთვისაც და როდის დავაღწევდით თავს იმ საშინელ კოშმარს, რომელშიც თითქმის ორი წლიწადი გამოუსვლელად ვიყავით, ჩვენ ქვეყნისა არა ვიცოდით რა, მოწყვეტილნი ვიყავით ყველასაგან და იმ დროს როდესაც ყოფილ რუსეთში, თუ სხვაგან დღითი დღე საისტორიო ამბები ხდებოდა, გრგვინავდა ხმა თავისუფლებისა და ილეწებოდა ბორკილი მონობისა, ჩვენ გვეძინა და ამ ხნის განმავლობაში სიმშილისაგან და სულის ტანჯვით დახშულ აზროვნებას ვერ წარმოედგინა ყველაფერი ეს. დღითი დღე ვრჩებოდით ცხოვრებას უკან და მხოლოდ ბულგარულ გაზეთებით ვიკვებებოდით, რომელიც ცრუ და მახინჯურ ცნობებს აწვდიდა ყველას და ნიადაგ ზავის შესახებ ჰლაპარაკობდა, თუმცა ზავს ბულგარეთისათვის ჯერ არ მოეცალა.

ჩვენ უკვე გაგონილი გვქონდა და წაკითხულიც გაზეთებში: საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადაო, მაგრამ მაინც ვერ წარმოგვედგინა, თუ ქართული დელეგაცია ჩამოვიდოდა ბულგარეთში, როგორც უკრაინიდან და ვიყავით ასე უნუგეშოდ და არ ვიცოდით რა გვექმნა ..

ერთ დღეს გავიგეთ, რომ ქართველი წარმომადგენელი ჩამოვიდა სოფიაში. რასაკვირველია, ჩვენ, ქართველები, მაშინვე გავექანეთ „Хотелъ България"-ში („სასტუმრო ბულგარეთი"), სადაც ჩერდებოდნენ ყველა ქვეყნის წარმომადგენელნი დიდრაჯული სტუმრები. აბაზე ვამყარებდით ყველა ჩვენ ნათელ იმედებს სამშობლოში დაბრუნებისას. ეს იყო ერთად ერთი უტყუარი საშუალება. მართლაც და.. აბა სადღა გვქონდა იმის იქით გზა?! ჩვენმა წარმომადგენელმა დიდი იმედი მოგვცა და ის რამდენიმე დღე აღფრთოვანებულნი დავდიოდით, ცას ვეწეოდით. მაგრამ, საუბედუროდ ჩვენი წარმომადგენელი ძალიან ცოტა ხნით იყო სოფიაში ჩამოსული და ამიტომ ოფიციალურად ჩვენზე ზრუნვა უკრაინის წარმომადგენელს ჩააბარა. თვით ისევ გაემგზავრა, საიდანაც იყო ჩამოსული. ჩვენ ისევ დაუშვით ფრთები, ისევ დაგვეკარგა იმედი, ღმერთო! რა ძნელია კვლავ სამშობლოს ნახვა. და ეს სიძნელე უფრო ძლიერ გვაყვარებს მას და უფრო მოუთმენლად ველით სამშობლოში დაბრუნებას.

დავიწყეთ ჩვენც უკრაინის ლეგაციაში სიარული. იმათი მოხელეები სცდილობდნენ უკრაინულად ლაპარაკს, მაგრამ ვერას ხდებოდნენ და ისევ რუსულს მიჰმართავდნენ ხოლმე, კარებზე კი ცუდი ხელით დაწერილი განცხადება ეკრა, რომელსაც არავინ არ ასრულებდა და რომელიც შემდეგი შინაარსისა იყო: „Вхід без доклáду заборонáється".

ბევრი წვალების შემდეგ როგორც იყო ვეღირსე უკრაინის კონსულის აუდიენციას. უნდა აღინიშნოს შემდეგი: რუსების ანტიპატია შუ უცინისადმი იმიტომაც იყო გამოწვეული, რომ ის ყველას უკრაინულად ელაპარაკებოდა, მათაც კი, ვისაც ეს დალოცვილი ენა არ ესმოდა, „პან კონსულის" კაბინეთის კართან მდგარმა მეკარემ, პაჭუა ცხვირით და ჩინელების მაგვარ, თხელ ულვაშებით, შემაჩერა, თითქოს ოთახში ცოცხალი კაცი კი არა მკვდარი ძევსო და უკრაინულად დაბლა მკითხა:

— რა გინდით.

მეც, თუმცა უკრაინული ძალიან ნაკლებად ვიცოდი, მაგრამ ამ ლეგაციაში სიარულის დროს, ზოგი-ერთი სიტყვები შემესწავლა, უპასუხე ისევე ჩუმად: „შჩ იმ პობალაკატი"—ე. ი. მოსალაპარაკებლად მეთქი. გვარი მკითხა, უთხარი, ისიც დაუმატე თუ რისთვისაც მოვსულიყავი. შევიდა და მოახსენა. მე კარი შევაღე. შულგინი უკვე ამდგარიყო და კარებისკენ მოდიოდა ჩემ შესახვედრათ. ამ ყურადღებამ დიდად მასიამოვნა, მაგრამ ის არ დავივიწყე გულში რომ მქონდა გადაწყვეტილი: თუ შულგინმა უკრაინულად დამიწყო ლაპარაკი, მე ქართულად უპასუხებ, და ვნახოთ ვინ ვის აჯობებს მეთქი. მაგრამ მოვსტყუვდი. დამიწყო რუსულად ლაპარაკი რა დამსვა და თვითონაც მოუჯდა თავის მაგიდას. აუხსენი ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა, მოვაგონე, რომ საქართველოს წარმომადგენელმა მას გადასცა ჩვენი ზრუნვა და ისიც უთხარი, თუ ჩვენ სულ 4 აფიცერი და 7 ჯარის კაცი ვართ, რომელთა სამშობლოში გაგზავნა არც ისე ძნელია.

იმედი მომცა და მითხრა თუ რა გაეკეთებინა უკვე ჩვენი დაბრუნების შესახებ მადლობა გადაუხადე და წამოვედი.

გავიდა რამდენიმე ხანი... ჩვენ ბედი კი ისევ უცვლელად რჩებოდა. ჩვენს ჯარის კაცებს. სხვა რუს ჯარის კაცებთან ერთად ისევ ამუშავებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი ავადმყოფობდა... ჩვენ მაინც არ შეგვიწყვეტია უკრაინის ლეგაციაში სიარული და არც მოგვწყენია კარებზე გამოკრულ ერთ და იმავ განცხადების კითხვა უკრაინულ ენაზედ უკრაინის ლეგაციაში კიდევ ნ უკრაინულად დაბეჭდილი გაზეთები მოდიოდა, მაგრამ მკითხველი ნაკლებად ჰყავნდა ჩვენ, ქართველებსაც ვაჩერებდნენ წასაკითხად, თუმცა უარზე ვიდექით და ვეუბნებოდით, არა გაგვეგება თქვენ ენა შიო. ერთ ასეთ ვიზიტის დროს ლეგაციაში, ვიღაც მოხელემ, რომელმაც გაიგო ქართველი ვიყავი, ასეთი კითხვა მომცა:

— თქვენ ქართველი ხართ?

— დიახ.

— მერე იცით ქართული ენა?

ამ კითხვამ ჩემი ქართველური გრძნობა შელახა და მკვახედ ვუპასუხე:

— უკეთესად, ყოველ შემთხვევაში—ვიდრე თქვენ უკრაინული!..

ჩემი მოპირდაპირე გაყუჩდა და მხოლოდ ეს წაიდუდუნა.

— კავკასიაში ეხლა თვრამეტი რესპუბლიკაა!

მე საჭიროდ არ დავინახე ამაზე პასუხის მიცემა და გამოვტრიალდი... მხოლოდ იმან მოკლა გული: რა საბუთი აქვთ, რომ ჩვენზე ასე ლაპარაკობენ?

ქართველმა ქართული არ იცოდეს, მაშ რაღა უნდა იცოდეს. მაგრამ განა მართალი არ არის, რომ ქართველობაში სწორედ ამ გზას ადგია, ქართული ავიწყდება და სხვა ენაზე აზროვნებს და ლაპარაკობს? განა მართალი არ არის, რომ ქართული ენა ჩვენშივე დევნილია და აბუჩად აგდებული? და რა საკვირველია, უცხომ ამგვარი კითხვა დასვას. მაგრამ რადა? რად უნდა იყოს ასე?.. ეჰ... ან, რა გვინდა ჩვენ, ქართველებს ბულგარეთში. რა დაუშავა ბულგარეთმა საქართველოს, რომ ამ ორ პატარა ერის შვილები ერთმანეთს შეებრძოლნენ. რა ჰქონდათ გასაყოფი? რატომ ეხლა ჩვენ, ჩვენს სამშობლოში არა ვართ იქნებ იგი განსაცდელშია და შველას ითხოვს?! რამდენი ქართველია მოშორებული თავის ქვეყანას! ოხ, ღმერთო ჩემო, როდის დავბრუნდებით საქართველოში, როდის ვიხილავთ მშობლიურ ცას, მთებს, ამწვანებულ მდელოს, როდის გავიგებთ ქართულ ლაპარაკს! ვღირსებით ნეტა ამ ნეტარებას როდისმე, თუ უცხოეთში ამოხვდება სული, მივეღებს სხვა მიწა, არ დაგვიტირებს არავინ?! ამ ფიქრებით ვიყავი ხოლმე გარემოცული, ორი წლის ტყვეობით გულ გატეხილი, ყველასგან მოკლებული, თავ-მოყვარეობა შელახული...

**არჩილ მაჭავარიანი.**

(შემდეგი იქნება)

*) ლევი უდრის ფრანკს, 37 კაპ.

# სავალდებულო დადგენილება

**მიღებული და დამტკიცებული თბილისის ქალაქის საბჭოს მიერ 22 ენკენისთვეს 1919 წ.**

დაადგინა: 1. ქალაქში ყველა საზოგადო-სავაჭრო სამრეწველო და სხვა და სხვა დაწესებულებებზედ მთავარი წარწერანი თვალსაჩინო ადგილს უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე.

2. მეპატრონეთ უფლება ეძლევათ გარდა ხსენებული მთავარი წარწერებისა, რომელიც ქართულ ენაზედ იქმნება სხვა ენაზედაც იქონიონ მცირედი წარწერანი.

3 ვადა ასეთი წარწერის დამზადებისა და გამოკიდებისა ცლეიდგან სამი თვე დაინიშნოს.

4. მართლწერის და სტილის დასაცავათ მეპატრონე ვალდებულია წარწერის ტექსტი წინდაწინ წარუდგინოს საქართველოს სავაჭრო პალატას, რომელიც შესაფერ ტერმინოლოგიას შეიმუშავებს და დახმარებას გაუწევს მსურველთ უფასოთ.

5. თუ ვინიცობაა მეოთხე მუხლში მოყვანილი ვალდებულება არ შეასრულეს და ასე დაუკვეთეს სახელოსნოებს წარწერათა დამზადება, მაშინ ხელოსანნი და შემსრულებელნი ასეთი წარწერებისა თვით არიან ვალდებულნი წარუდგინონ სავაჭრო პალატას დასამტკიცებლათ წარწერათა ტექსტი.

6. სახლის პატრონები ვალდებულნი არიან არსებული წარწერანი სახლის ფასადზე და ფარნებზედ სახელმწიფო ენაზედ წარწერით შეცვალონ ამავე ხნის განმავლობაში.

7. ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას არ შეასრულებს პასუხისგებაში იქნება მიცემული სასჯელთა წესდების მე-29 მუხლის ძალით.

# ღვინის მოსავალი კახეთში

წლევანდელი ღვინის მოსავალი ძალიან მდარეა და სრულიადაც არ გამართლდა იმედები, რომელიც ყვავილში მოსალოდნელი იყო.

ამის მიზეზი იყო უამინდობა აგრეთვე შაბიამნის და გოგირდის უქონლობა.

იმერეთში სულ არაფერი მოსულა. კახეთში შედარებით უფრო კარგი იყო მაგრამ მაინც ცუდი, სხვათა შორის თელავის მაზრაში უფრო კი ნაკლები სანამ ქიზიყში.

ღვინის მოსავალი კახეთის საუფლისწულო მამულებში ამნაირია: წინანდალში—19,400 ფუთი (ყვავილში კი მოსალოდნელი იყო 45 ათასი ფ.) ნაფარეულის მამულში—6.000 ფუთ. ელოდნენ 12.000 ფუთს. მუკუზნის მამულში—10.000 ფ. ნაცვლად 17.000 ფუთისა.

კუმენტები ხელთ იყო.

— ერთ კვირას გავაკეთებ ამ საქმეს.—გაიფიქრა გულში.—და მერე მოუღებ ჩემ თავს ბოლოსო. მაშ რა მექნა? შემეცოდა საწყალი ქალი. უპატრონო დარჩენილა, დაუბრიყვნიათ და უნდა ვუშველო.

ქვრივი დაიმედებული გაისტუმრა... საწამლავს ხელი წამოავლო და კარადაში შეინახა შემდეგი დროისათვის.

IV. **უნებური კოცნა.**

ერთი კვირაც გავიდა, მეორეც, მესამეც მეოთხეც და სამი თვეც, მაგრამ ხირაძის ქვრივის პენსიის საქმეს ჯერჯერობით ვერა უშველა რა. ძალიან კუს ნაბიჯით მიდიოდა წინა. თუმცა კი ყოველთვის ეუბნებოდნენ, საცაა ჯერ არს, მალე იქნებაო.

— აი, აჰა! მესამე თვე გახდა!—წამოიძახა ბრაზმორეულმა სიმთაძემ.—ვერაფერი გავაწყე რა, საქმეს ბოლო არ უჩანს: გარეთ მოხელეების წარმოუხრელი უსინდისობა მაწუხებს და შინ კიდევ ხირაძის ქვრივის ხელის ჩამოკრული ზარი. ოოოჰ! შავდა უკუღმა ის დღე შავ და უკუღმა, როცა...

—კარადის კარი გააღო და საწამლავს ხელი წაავლო.—სამი თვეა წყალში გაგხსენი საწამლავო: სამი თვეა ვეშურები ჩემ ანოსკენ, რამდენჯერ გადმოგიღე კარადიდან. მაგრამ ვერ დაგლიე.—ნელ-ნელა ჭიქა პირისაკენ წაიღო, მაგრამ შუა გზაზე შეაჩერა.—რა გინდა ჩემგან სინდისო? რა ვქნა რომ დავპირდი? საქმე იგვიანებს. რომდემდის უნდა ვიწვალო უანოოდ. არა, დავლევ. ჭიქა ტუჩებთან მიიტანა. ზარი ჩამოკრეს და შეკრთა. ჭიქა ისევ კარადაში შედგა.

— ხირაძის ქვრივი იქნება. რომ დაინახოს საწამლავისაგან დალმეჭილი ჩემი სახე. გული გაუსკდება: სხვისი ცოდო რათ უნდა დავიდო?

— შინა ბრძანდებით, ბატონო სოსო? გაისმა დალონებულის ხმა.

კაბინეტში ხირაძის ქვრივი იწვია.

— თავს გაბეზრებთ, ბატონო სოსო მაგრამ რა ვქნა?—განაგრძო ქვრივმა. ოჰ ნეტავი ჩემ საშას წავეყვანე თანა! რათ მინდოდა ამის პენსია, თუ საქმეს ასე გამიხლართავდნენ! მიბრძანეთ თქვენი ჭირიმე, დღეს ხომ არაფერი გაგიგიათ?

— ჯერ არ გადუციათ,—აუწყა სოსომ და თავი დაღუნა.

თვითონვე სცხვენოდა რომ საქმე არ იყო აქნობამდე გათავებული.

ქვრივს თვალ ბიდან ჩვეულებისამებრ ცრემლები წამოსკდა.

— რა წყალში ჩავარდე? რას მიშვრებიან ამას?—დაიწყო სასოწარკვეთილებით.—ფული მელევა, სხვა საცხოვრებელი აღარა მაქვს... ოოოჰ ღმერთო! ღმერთო! ნამდვილი ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი!

ქალმა ჩვეულებრივ ტირილს გადაამარბა. კინაღამ გული თან არ ამოაყოლა.

სოსოს სიბრალულისაგან ცეცხლი მოეკიდა. მივიდა ქვრივთან ახლოს და ხელი დაუჭირა.

— ნუ სტირით! დამშვიდდით.—უთხრა ლმობიერად.—მგონი ამ ინსტანციას რომ გასცილდება, მალე გაკეთდება საქმე.

ქვრივი ამ ლბილმა კილომ უფრო აატირა. ტირილი სლუკ-სლუკად გადაექცა და მთელი სხეული აუცახცახდა.

სოსომ მსახურს ზარი დაურეკა და წყალი შემოატანინა.

— აბა, ბატონო, მიირთვით!—მიჰმართა ქვრივსა და ჭიქით წყალი მიაწოდა.

მაგრამ ქვრივმა ჭიქა ვერ ჩამოართვა: ხელები უკანკალებდა. სოსო იძულებული გახდა მიეშველებოდა; დაიხარა ქვრივისაკენ, თავი დაუჭირა და ჭიქით წყალი ტუჩებთან მიუტანა.

ქალის პირისახის სიამომ ჰაერი ანდამატივით მიიზიდა. თავი უფრო მეტად დაახრევინა. ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და სიმთაძეს ტუჩები ხირაძის ქვრივის შუბლს შეეხო.

ქალი შეკრთა და ტირილი შესწყვიტა. ვაჟმა უხერხულობა იგრძნო და ხელიდან ჭიქა გაუვარდა, გაუტყდა...

V. **შეყვარებულნი.**

მთელი დანარჩენი დღე და ღამე სოსომ მოუსვენრად გაატარა. სინდისმა ღრღნა დაუწყო.

რამ შემაცდინა, რომ? რომელმა ეშმაკმა შემომიგდო ეს ქვრივი და ჩემი სული შეაშფოთა?—კითხულობდა გამწარებული და შუბლში ხელს იცემდა. —ოოო! ანო, ანო! ჩემო ძვირფასო ანო, მაპატიეო!—ემუდარებოდა მიცვალებულის აჩრდილს.

მეორე დღეს დილით ბლომად ყვავილები იყიდა და ანოს საფლავს ეწვია. სინანულის ცრემლი დაღვარა და აღუთქვა, მალე, სულ მალე მეც გვერდით მოგიწვებიო.

სასაფლაოდან ქვრივის საქმეების მოსაგვარებლად გასწია. გადაწყვიტა გაეორკეცებინა თავისი ენერგია და მალე გაეთავებინა ყველაფერი.

რამოდენიმე დღის უკან ხირაძის ქვრივი ისევ სოსოს სახლში გაჩნდა. მორიდებით შედგა ფეხი კაბინეტში, მორიდებით ჩამოჯდა სკამზე. უნდოდა ეკითხა თავის საქმის ვითარება, მაგრამ თავის ქმრის ამხანაგს რომ შეხე და მორცხვად თვალები ძირს დაუშვა. სოსოს სახეზე ალმური აუვარდა. თავს დამნაშავედ სთვლიდა ქვრივის წინაშე.

მიუახლოვდა.

— ბატონო, მაპატიეთ.—დაიწყო ბოდიში.—მაპატიეთ ჩემი კადნიერება.

— მე, ბატონო, ჩემის საქმის გასაგებად მოვედი.—გაისმა პირცაპირი პასუხის მაგიერ ცივი სიტყვები.

სოსო შეკრთა. ვეღარა აწამა რა.

— თუ ჯერ კიდევ არ იქნება რაიმე შედეგი,—განაგრძო ქალმა,—მე დროებით მინდა იმ ქალაქს დავუბრუნდე სადაც ჩემი ქმრის ნათესაობაა მიწას. მისამართს დაგიტოვებთ და მაცნობეთ.

— რას ბრძანებთ? ხარჯი მოგივათ!—უთხრა სოსომ, ისე აჩქარებით, თითქოს სწყინს ქვრივის წასვლაო.—რას ბრძანებთ? მოითმინეთ!.. მოითმინეთ! მე მგონი ეხლა კი მალე იქნება: კაი სიმპტომები სჩანს. მალე იქნება, მალე!

ქვრივი წამოდგა და წასვლა დააპირა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! თუ მართლა მალე იქნება, დავრჩები კიდევ რამოდენიმე ხანსა—სთქვა ჰიმეით და ფეხი გადადგა კარებისაკენ.

სოსო ქალს გასაცილებლად მიჰყვა. კაბინეთის კარებში უნებურად ერთად მოხვდნენ და გვერდი-გვერდს შეახეს.

სოსოს თავბრუ დაესხა და წაბარბაცდა. ქალმა ორი ხელი შეაშველა. ვაჟი მთლად დაიბნა. სოსოს უნდოდა ქვრივის ხელები მოეშორებინა და ამის ნაცვლად თვითონვე გადაჰხვია-მკლავები.

ერთი ნახევარ საათის უკან სიმთაძის მსახურმა შემდეგი სცენა ნახა - ბატონის კაბინეტში: სიმთაძე ჩამჯდარიყო თავის სავარძელში, მუხლებზე ქვრივი დაესვა, გამწარებული ჰკოცნიდა და თან ეუბნებოდა, მიყვარხარო. ქვრივსაც ნაზად მიეხვივნა ხელები და სარგებლით უბრუნებდა სამაგიეროს.

მსახური ისე მივიდა და წავიდა რომ შეყვარებულთ სრულიად არ შეუნიშნავთ.

ნახევარ წელიწადმა გაირბინა. სიმთაძეს საწამლავი გადაავიწყდა, ხირაძის ქვრივს კიდევ პენსია.

საღამოს 6 საათი იყო. ფრაკში გამოწყობილი სოსო ოთახიდან ოთახში გადადიოდა და მსახურს განკარგულებებს აძლევდა. კაბინეთში ხირაძის ქვრივი რაღაცაც ფუსფუსებდა. ზარის ხმა გაისმა და ცოტა ხნის შემდეგ მსახურმა სოსოს შეკრული პაკეტი შემოუტანა. თურმე ხირაძის ქვრივისათვის პენსია დაენიშნათ.

— საჭირო არ არის.—წაიიდუდუნა სოსომ და მოსული ცნობა ზედ შუაზე გადახია.

კაბინეტისკენ პირი იბრუნა

— ფეფო მზადა ხარ?—შეეკითხა ხირაძის ქვრივსა.

— აი მოვდივარ!—მოისმა პასუხად და კაბინეტიდან საგვირგვინო ტანისამოსში გამოწყობილი ხირაძის ქვრივი გამოვიდა.

ხელში ჭიქით სითხე ეჭირა.

— ეს რა არის, სოსო?—იკითხა ქალმა—იქ, კარადაში იდგა.

სოსომ დავიწყებული საწამლავი იცნა და ოდნავ ფერი ეცვალა.

— არაფერი—მიუგო ყრუდ.—მომე აქა.—ჭიქა ჩამოართვა და მსახურს გადასცა, თან შუაზე გადახეული ქაღალდიც გაუწოდა.—ერთი გადაღვარე, მეორე სანაგვე ყუთში ჩაუყარე და გასწი მალე ეტლი მომგვარე.

გავიდა ათი წუთი და სიმთაძის სახლის საზეიმო კარებს მსახურმა ეტლი მოაყენა.

— აბა წავიდეთ, გენაცვალე! მიმართა სოსომ ქალსა—მეჯვარეები საყდარში დაგვხვდებიან ასე უცნობ უხმოდ ჩაივლის ჩვენი ქორწინება.

მეფე-დედოფალი გზას გაუდგნენ.

**ინ-ზანი.**

დაიბეჭდა და იყიდება
გასასყიდათ წიგნის მაღაზიებში:
**ქართული წერა ს დედანი**
შედგენილი
**ს. დათეშიძის მიერ.**
2595 12—3

## მიმოსვლა

**სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.**

**გადის თბილისიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. | 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | სალ. | 8 ს. | 7 წ. |
| ბათომში | № 5 | სალ. | 5 ს. | 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. | 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. | 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. | — |
| ფოთიდან | № 4 | სალ | 8 ს. | 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. | 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. | 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. | 06 წ. |

**თბილისი-სალოღლი**

**გადის სალოღლში**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 8 | სალამოს | 6 ს. | 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. | 32 წ. |
| № 4 | სალამოს | 9 ს. | 50 წ. |

**მოდის სალოღლიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. | 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. | 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. | 52 წ. |

**თბილისი-ქსანი, გორი-ბორჯომი.**

**გადის**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. | 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. | 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. | 26 წ. |

**მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. | 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. | 24 წ. |
| № 64 | სალ. | 8 ს. | 4 წ. |

**თბილისი-ხანაინა**

**გადის:**

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

**მოდის:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო ისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63. 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი.**
ყოფილი უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა. ბავშვია, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3., ტელეფონის № 17—21.

მედიცინის დოქტორი
**ბ. ა. ახვერდოვი**
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. 1-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე **მიხეილის ქუჩა № 7** ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

**საექიმო კაბინეტი**
**ექ. ა. ლუ შელაშვილისა**
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები საქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენიიდი და სხევალის ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

[illegible]
**ბეჟანოვი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—23.